F-171
1975

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

11

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნოემბერი

თბილისი 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-4055

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 11 ივლისის ბრძანება № 518

გლდანის № 1 და № 2 ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული პროფილის საშუალო სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი და სპორტული მუშაობის შემოწმების შესახებ

გავეცანი რა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსა და სპორტული განყოფილების მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს, აღვნიშნავ, რომ გლდანის № 1 და № 2 სპორტული ინტერნატების დირექციებს, პედაგოგიურ კოლექტივს, აღმზრდელებსა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში მწვრთნელებს გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული მუშაობაში. მაგრამ, ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სპორტის ზოგიერთ სახეობებში მწვრთნელთა ერთი ნაწილი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, არადამაკმაყოფილებელია ინტერნატების დირექციების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლის, სახალხო განათლებისა და სპორტის დარგში პედაგოგიური კოლექტივის მობილიზების, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და შრომის დისციპლინის გამტკიცების საქმეში.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. ბეიტრიშვილი და ო. ციხაძე (№ 1 სკოლა-ინტერნატი), გ. ტერტეროვა და თ. ოდიშვილი (№ 2 სკოლა-ინტერნატი) მოუმზადებლად ატარებენ გაკვეთილებს, ისინი საუბრის დროს უშვებენ ენობრივ შეცდომებს; სწავლების პროცესში ნაკლებად იყენებენ ახალ ხერხებსა და მეთოდებს, თვალსაჩინოებებს, გულდასმით არ ასწორებენ მოსწავლეთა ნაწერებს და არ აფასებენ მათ ობიექტურად.

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ერთგვარ წარმატებებთან ერთად, შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები: მასწავ-

ა. ფაღავას სახ. საქ. სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლები ვ. მედვედი, ნ. დავითაშვილი (№ 1 სკოლა-ინტერნატის), ვ. ანდრაზაშვილი, ს. კაპარავა, დ. გუბელაძე (№ 2 სკოლა-ინტერნატი) ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინო მასალებსა და წერის რვეულებში რჩებათ გაუსწორებელი შეცდომები. სათანადო სიმაღლეზე არ დგას გაკვეთილზე ლექსიკური მუშაობა, გულმოდგინედ არ ხდება ახალი სიტყვების ახსნა-განმარტება, მათი ჩაწერა მოსწავლეთა ლექსიკონებში და სხვა.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება. მათემატიკის მასწავლებლები ზ. ჭელიძე, გ. ჭყოიძე (№ 1 სკოლა-ინტერნატი), ლ. ბაფეროვა (№ 2 სკოლა-ინტერნატი) უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათემატიკის სწავლების საქმეს, რის გამოც, VII, VIII, X კლასების (№ 1 სკოლა-ინტერნატი) და VIII კლასის (№ 2 სკოლა-ინტერნატი) მოსწავლეებმა მეტად დაბალი მომზადება გამომაჟღავნეს მათემატიკის საპროგრამო მასალის ცოდნაში. № 1 სკოლა-ინტერნატში VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ზ. ჭელიძე) გავლილი მასალიდან მათემატიკაში თითქმის არაფერი იციან. მასწავლებელმა ზ. ჭელიძემ მოსწავლეთაგან შეცდომით შედგენილი ამოცანა ვერ გაასწორა და, რა თქმა უნდა, კლასს ვერც განტოლების სწორად ამოხსნის გზაზე მიუთითა. X¹ კლასში (მასწ. გ. ჭყოიძე) ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად ყველა მოსწავლემ მიიღო შეფასება „2“, მაშინ, როდესაც აღნიშნული ამოცანა მასწავლებელს წინა საკონტროლო წერაზე ჰქონდა მიცემული და ყველა მოსწავლე დადებითი ნიშნით იყო შეფასებული. № 2 სკოლა-ინტერნატის VIII კლასში (მასწავლებელი ლ. ბაფეროვა) მათემატიკის სწავლების დონე ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, მაგალითად, მოსწავლეები პროცენტული დამოკიდებულების დასამყარებელ ფორმულაში ვერ არკვევენ, რომელი ასო რა სიდიდეს ეთანადება: ვერ ხსნიან, კვადრატულ განტოლებებს, ვერ აგებენ წრფივი და კვადრატული ფუნქციების გრაფიკებს, წარმოდგენა არ აქვთ გამოსახულების რაციონალურ გარდაქმნაზე. მასწავლებელ ლ. ბაფეროვას უპასუხისმგებლო მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 23 მოსწავლიდან შეფასება „3“ მიიღო მხოლოდ 4-მა, ხოლო დანარჩენმა 19-მა მოსწავლემ არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა.

№ 1 სკოლა-ინტერნატში დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ფიზიკაში. მასწავლებელი გ. გვაშელი (VIII—X კლასები) ფლობს საგანს, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს მისი სწავლების მეთოდე-

ბისა და ხერხების დაუფლებაზე. ხოლო მასწავლებელი გ. ჭელიძე (VII კლ.)—სპეციალობით მათემატიკი ვერ ფლობს ამ საგანს. ამის გამოც მეშვიდეკლასელებმა ფიზიკაში საპროგრამო მასალის ხოლო უცოდინარობა გამოამჟღავნეს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სკოლა-ინტერნატის ფიზიკის კაბინეტის მოუწესრიგებლობის გამო, მინიმალური პირობებიც კი არ არის შექმნილი პროგრამით გათვალისწინებული ფრონტალურ-ლაბორატორული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩასატარებლად.

№ 1 და № 2 სკოლა-ინტერნატებში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია (მასწავლებლები ა. კუკულავა—№ 1 სკოლა-ინტერნატი, ც. ხაჩიძე—№ 2 სკოლა-ინტერნატი). მასწავლებელი ა. კუკულავა მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, გაკვეთილებს ატარებს დაბალ დონეზე. ახალი მასალის ახსნის პროცესში უშვებს შეცდომებს. იგი მოსწავლეებს უმტკიცებს, რომ ცილების სინთეზში მონაწილეობს მხოლოდ 10 სახის ამინომჟავა. ცილების მიღების მამამოავრად ასახელებს რუს ქიმიკოს ბელინსკის და სხვა. ნაკლებ ყურადღებას აქცევს აგრეთვე მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. X² კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 13 მოსწავლიდან 6-მა მიიღო შეფასება „3“. ხოლო დანარჩენმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ № 1 სკოლა-ინტერნატში სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება, ქიმიაში შემოღებით ფაკულტატიური კურსის (მასწავლებლები თ. მახვილაძე, ა. კუკულავა) სწავლება, სადაც არაფერი არ კეთდება და მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, საპროგრამო მასალის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს აგრეთვე მე-2 სკოლა-ინტერნატის VII და IX კლასის მოსწავლეებმა—აქ პროგრამით გათვალისწინებული ფრონტალურ—ლაბორატორიული სამუშაოები არ ტარდება.

№ 1 სკოლა-ინტერნატის ბიოლოგიის მასწავლებელი ტ. გვარჯალაძე საფუძვლიანად არ ემზადება გაკვეთილების ჩატარებისათვის. VIII, X კლასებში, სადაც იგი ასწავლის ბიოლოგიას, მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის მეტად დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს.. № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატებში შექმნილი არ არის ბიოლოგიის კაბინეტები.

ნაკლოვანებებით ხასიათდება გეოგრაფიის სწავლება № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატების იმ კლასებში, სადაც ამ საგანს მასწავლებლები ს. ჩკალოვა, კ. გაბუნია. გ. სუჯაშვილი, თ. ტყეშელაშვილი და

ი. მელაძე ასწავლიან. სწავლების პროცესში ეს მასწავლებლები არ იყენებენ თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს, რის გამოც მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები ნაკლებად საინტერესოა და მოსწავლეთა ცოდნა დაბალია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, გეოგრაფიის სწავლებაში არსებული თეორიული და მეთოდური ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად, № 1 სკოლა-ინტერნატში ფორმალიზმამდეა დაყვანილი გეოგრაფიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების მუშაობა (ხელმძღვანელი კ. გაბუნია). არ გააჩნიათ სხვადასხვაგვარი თემატიკური რუკები, არ მოეპოვებათ არცერთი დიაპოზიტივი და დიაფილმი, ხოლო მოსწავლეები საპროგრამო მასალის დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ.

№ 1 და № 2 სპორტულ სკოლა-ინტერნატებში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა აღმზრდელობით მუშაობაში (უფროსი აღმზრდელები: მ. ზურაბაშვილი, ლ. ნინუა). აღსაზრდელთა გეგმებში აღსაზრდელთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის მხოლოდ საუბრებია გათვალისწინებული. მოსწავლეებში კომუნისტური მრწამსის გამომუშავებისათვის არ მიმართავენ დისპუტებს, არ აწყობენ შეხვედრებს სამამულო ომის ვეტერანებთან, შრომის გმირებთან, ინტელიგენციის ძველებურ წარმომადგენლებთან, გამოჩენილ სპორტსმენებთან, არ ატარებენ საუბრებს პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, სკკპ XXIV ყოილიანის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების შესახებ.

დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება: III მეოთხედის ბოლოს № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა მხოლოდ 80 % ასწრებდა. აღსაზრდელთა დაბალი აკადემიური მაჩვენებლები, მთელი რიგი საგნების სუსტად სწავლებასთან ერთად, გაპირობებულია აღმზრდელთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია № 1 სკოლა-ინტერნატის VIII², IX² და № 2 სკოლა-ინტერნატის V² და VII კლასები (აღმზრდელები: ვ. ჭალელიშვილი, ნ. ქისტიშვილი № 2 სკოლა-ინტერნატი, ტ. გორდელაძე, გ. გაბუნია—II სკოლა-ინტერნატი). აღნიშნული აღმზრდელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ არასასწავლო დროის რაციონალურად გამოყენების საქმეს. გასაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად წარმართავენ თვითმმართველობის საათებს. სკოლა-ინტერნატში დარღვეულია დღის რეჟიმი, რაც უარყოფითად მოქმედებს აღსაზრდელთა სწავლასა და ზრდა-განვითარებაზე. № 1 სპორტულ სკოლა-ინტერნატში (უფროსი აღმზრდელი შ. ზურაბაშვილი) მეთოდურად არასწორად

აწარმოებენ სააღმზრდელო ჟურნალებს. ორ აღმზრდელიან ჯგუფში ორ-ორი სააღმზრდელო ჟურნალია შემოღებული, ამიტომ დღის მეორე ნახევარში მომუშავე აღმზრდელმა არ იცის დღის პირველ ნახევარში რა მუშაობა ჩატარდა და პირიქით.

ორივე სკოლა-ინტერნატში მასწავლებლები თავს არიდებენ მეთოდური დახელოვნების საქმეს: ორივე სკოლა-ინტერნატის 110 მასწავლებლიდან და აღმზრდელიდან დახელოვნების კურსები გავლილი აქვს მხოლოდ 24-ს. სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელობა (№ 1 სკოლა-ინტერნატის ყოფილი დირექტორი ვ. ჩინჩალაძე, № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორი ა. წერეთელი) მკაცრ კონტროლს არ ახორციელებს ამ მიმართულებით. მათ განათლების სამინისტროში დღემდე არც კი წარმოუდგენიათ განაცხადი, თუ რა საგნის, რამდენი მასწავლებელი გაივლის მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა დახელოვნების კურსებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში № 1 და № 2 სპორტულ სკოლა-ინტერნატში საგრძნობლად გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (აშენდა მძლეოსნური მანეჟი, ჰიდაობის სპორტული დარბაზი, ჩოგბურთის მოედნები, მშენებლობის პროცესშია ტანვარჯიშის დარბაზები და საცურაო აუზი), მაინც მწვავედ იგრძნობა თანამედროვე, სრულყოფილი სპორტული ნაგებობების, ინვენტარის ნაკლებობა. გასულ სასწავლო წელს სკოლა-ინტერნატებმა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებს იჯარის სახით გადაუხადეს 12 ათასზე მეტი მანეთი.

ამავე დროს, არსებული ბაზები მოუვლელია. სკოლა-ინტერნატების პედაგოგიური კოლექტივები სუსტად ზრუნავენ მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისათვის. არ ხდება სკოლა-ინტერნატების სპორტული ბაზების განძტკიცება საშეფო ორგანიზაციათა ხარჯზე. არ გამოიყენება მოსწავლე ახალგაზრდობის შესაძლებლობანი მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოსაწყობად.

სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია მოსწავლე სპორტსმენთა ფიზიკური დაოსტატების საქმეში. სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა საქმიანობა დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად.

ვერ ახორციელებენ ქმედითი ღონისძიებებს მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გაუმჯობესების მიზნით. სკოლა-ინტერნატში, საერთოდ, არ სრულდება მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმები. უკანასკნელ ორ წელიწადში 600 მოსწავლიდან მომ-

ზადებულია მხოლოდ 33 პირველთანრიგოსანი მოსწავლე-სპორტსმენი. ასევე არადამაკმაყოფილებელია სპორტულ თანრიგოსანთა მომზადების საქმეც.

წლების განმავლობაში სკოლა-ინტერნატები კომპლექტდება უპერსპექტივო, დაბალი მომზადების მოსწავლეებით, რის გამოც არ სრულდება დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

№ 1 სკოლა-ინტერნატის 329 მოსწავლიდან სპორტული თანრიგი აქვს მხოლოდ 124 მოსწავლეს, ხოლო № 2 სკოლა-ინტერნატის 235 მოსწავლიდან 166-ია თანრიგოსანი.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სკოლა-ინტერნატებიდან სხვადასხვა მიზეზებით განითესა 245 მოსწავლე. მათ შორის 220 მოწავლე—სპორტული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის. რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში ძალზე დაბალია სკოლა-ინტერნატების აღზრდილთა წარმომადგენლობა.

მოსწავლეთა მე-13 საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდა 14 მოსწავლე სპორტსმენი.

სკოლა-ინტერნატების მწვრთნელ-მასწავლებელთა დიდი ნაწილის მუშაობაში შეინიშნება პრიმიტიულობა, არ ზრუნავენ თავიანთ პროფესიულ დაოსტატებაზე, არსებულ ნაკლოვანებათა ერთადერთ მიზეზად მიაჩნიათ სპორტული ბაზების სიმცირე, არ ცდილობენ მოსწავლე-სპორტსმენთა მომზადებისა და წვრთნის თანამედროვე, მეცნიერულად დასაბუთებული გზებით აღმოფხვრან ჩამორჩენა.

№ 1 და № 2 სკოლა-ინტერნატების მწვრთნელ-მასწავლებლები. ი. მიგრიაული, ყ. საბანაშვილი, ჯ. თევდორაძე, ვ. გვენცაძე, ვ. ჩქარეული, ნ. ჩოლარია, ს. კოტორაშვილი, ნ. აზარაშვილი, გ. დათაძე, რ. მაჭარაშვილი დაბალ მეთოდურ დონეზე ატარებენ საწვრთნელ-მეცადინეობებს, არ აქვთ სპორტსმენთა მომზადებისათვის აუცილებელი პერსპექტიული გეგმები.

სკოლა-ინტერნატების დირექტორების მოადგილეები სპორტული მუშაობის დარგში ს. საბანაშვილი, ი. კინწურაშვილი არ ავლენენ სათანადო მომთხოვნელობას, პრინციპულობას, იჩენენ შემრიგებლობას იმ მწვრთნელ-მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. სისტემატურად არ აანალიზებენ სპორტის ცალკეულ სახეობათა განვითარების საკითხებს, ღრმად ვერ წვდებიან არსებულ მდგომარეობას, არ უდგანან სათავეში მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს, არასაკმაოდ აკონტრო-

ლებენ მათ ყოველდღიურ საქმიანობის, არ ზრუნავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ორივე სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება შიდასასკოლო კონტროლი დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-საალმზდელო და სპორტული მუშაობის დარგში არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სასწავლო-აღმზრდელობითი და სპორტულ მუშაობას. სწორედ ამით აიხსნება, რომ მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სპორტის ზოგიერთ სახეობაში მწვრთნელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, არ ზრუნავს თავისი თეორიული და პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის, სწავლებაში ახალი ხერხებისა და მეთოდების დანერგვისათვის, თვალსაჩინოების, ტექნიკური საშუალებების გამოყენებისა და კვალიფიციური სპორტსმენების აღზრდისათვის.

№ 1 და № 2 სპორტულ სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობით და სპორტულ მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ხასიათი ნათლად მიუთითებს დირექტორებისა და პედაგოგიური კოლექტივების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) რადიკალურად გარდაქმნან პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის მეთოდები. სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებს, სპორტული და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს. პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და საწარმოო თათბირებზე რეგულირულად განიხილონ მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების, სპორტული დაოსტატებისა და საალმზრდელო მუშაობის საკითხები;

ბ) მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სპორტის სახეობებში მწვრთნელთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, "არსებითად გარდაქმნან მეთოდური მუშაობა. მიაღწიონ იმას, რომ მეთოდგაერთიანებების სხდომები ტარდებოდეს რეგულარულად და სხდომებზე წაკითხული მოხსენებები ნამდვილად ემსახურებოდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი პრაქტიკისა და სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვის საქმეს, ხოლო ის მასწავლებლები, რომლებიც არ არიან გაერთიანებულნი საგნობრივ მეთოდგაერთიანებებში, ჩაებან სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებებში;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ ზაფხულის არდადეგების პერიოდში დახელოვნების კურსებგაუვლელ მასწავლებელთა და აღმზრ-

ველთა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსებზე მისაკვლინებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გაკვეთილების სააღმზრდელო და სპორტული ღონისძიების ეფექტურობის ამაღლების მიზნით მიაღწიონ იმას, რომ ყოველი გაკვეთილი და სააღმზრდელო ღონისძიება ტარდებოდეს თვალსაჩინოების, სწავლების ტექნიკური საშუალებებისა და ტექნიკურ-ლაბორატორიული სამუშაოების გამოყენებით. ამასთან, დასახონ ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა კაბინეტების მოსაწყობად და უზრუნველყონ მათი შევსება საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობებით;

ე) მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებზე დააწესონ სათანადო კონტროლი, აღმოუჩინონ მათ სისტემატური დახმარება, რითაც მიაღწიონ მათი მუშაობის გაუმჯობესებას და თუ მიღებული ზომების შედეგადაც აღნიშნული მასწავლებლები ვერ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, არსებული წესის მიხედვით დასვან საკითხი მათი საშუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

ვ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების ეზოს შემოღობვისა და სპორტული მოედნების კეთილმოწყობისათვის.

II. სკოლა-ინტერნატების მასწავლებლებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გაკვეთილებისათვის მზადების საქმეს. საგნის სწავლებისას არ შემოიზღუდონ სასკოლო სახელმძღვანელოებით. გამუდმებით სრულყონ სწავლების ხერხები და მეთოდები და მიაღწიონ ყველა მოსწავლის მიერ საპროგრამო მასალის სრულად და შეგნებულად ათვისებას;

ბ) მოსწავლეთა მიერ ახალი მასალის შეთვისების მიზნით, გაკვეთილებზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლებაში თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების, ლაბორატორიული ცდების და ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საქმეს;

გ) საპროგრამო მასალის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში კომუნისტური მსოფლმეხედველობის ფორმირებისა და მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბების საქმეს.

III. სკოლა-ინტერნატების აღმზრდელებმა:

ა) საგნის მასწავლებლებთან ერთად, აკადემიური ჩამორჩენილო-

ბის ლიკვიდაციის საქმეში ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ჩამორ-
ჩენილ აღსაზრდელებს, ჩაუტარონ მათ დამატებითი მეცადინეობები;

ბ) საალმზრდელო ჯგუფებში გააძლიერონ მუშაობა აღსაზრდელ-
თა კომუნისტური მსოფლმხედველობით შეიარაღების, საზოგადოებ-
რივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისა და თვითმოქმედების განვი-
თარებისათვის.

IV. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღ-
ვანელობისა და კონტროლისათვის:

ა) მე-2 სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. ა.
წერეთელს გამოეცხადოს საყვედური;

მიღებულ იქნას ცნობად, რომ № 1 სკოლა-ინტერნატის ყოფილი
დირექტორი ვ. ჩინჩალაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან;

ბ) № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატების დირექტორის მოადგი-
ლეებს სასწავლო მუშაობის დარგში მ. ქარსელაძეს და ი. მელაძეს
გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური;

გ) № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატების დირექტორის მოადგი-
ლეებს საალმზრდელო მუშაობის დარგში შ. ზურაბაშვილსა და ლ.
ნინუას გამოეცხადოთ საყვედური.

V. სასწავლო-სპორტული დოკუმენტაციისა და სპორტული ჯგუ-
ფების აღრიცხვა-გეგმიანობის ჩაშლისათვის, მოსწავლეთა საწვრთნე-
ლი მეცადინეობების უმიზეზოდ გაცდენისა და და მწვრთნელ-მასწავლე-
ბელთა საქმიანობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათ-
ვის გლდანის № 1 სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის დირე-
ქტორის მოადგილეს სპორტული მუშაობის დარგში ამხ. ყ. საბანა-
შვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური;

მწვრთნელ-მასწავლებელთა საქმიანობაზე სუსტი კონტროლისა
და ხელმძღვანელობისათვის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის
მოადგილეს სპორტული მუშაობის დარგში ამხ. დ. კინწურაშვილს
გამოეცხადოს საყვედური.

VI. საგნის სუსტად სწავლებისა და მოსწავლეთა მომზადების
დაბალი დონისათვის გამოეცხადოს საყვედური ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლებს მ. ბეიტრიშვილსა და ო. ცინცაძეს
(№ 1 სკოლა-ინტერნატი), გ. ტერტეროვას და დ. ოდიშვილს (№ 2
სკოლა-ინტერნატი), მათემატიკის მასწავლებელს ზ. ჭელიძეს (№ 1 სკო-
ლა-ინტერნატი), ლ. ბაფეროვას (№ 2 სკოლა-ინტერნატი), გეოგრაფიის
მასწავლებლებს: ს. ჩკალოვას. გ. სუჯაშვილს, თ. ტყეშელაშვილს (I
სკოლა-ინტერნატი). ქიმიის მასწავლებლებს ა. კუკულავას (№ 1 სკოლა-

ინტერნატი) და დ. ხაჩიძეს (№ 2 სკოლა-ინტერნატი), ბიოლოგიის მასწავლებელ ტ. გვარჯალაძეს (№ 1 სკოლა-ინტერნატი).

VII. სუსტი პედაგოგიური მომზადებისა და სასწავლო-სპორტული ჯგუფების არაპერსპექტიული და სუსტი ფიზიკური მომზადების ბავშვებით დაკომპლექტებისათვის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის მწვრთნელებს: ჯ. თევდორაძეს, ვ. გვენცაძეს, ვ. ჩაქარიულს, № 2 სკოლა-ინტერნატის მწვრთნელებს: ნ. ჩოლარიას ს. კოტორაშვილს, მ. აზარაშვილს, გ. ლაბაძეს და რ. მაჭარაშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

VIII საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად წარმართვისათვის № 1 სკოლა-ინტერნატის მათემატიკის მასწავლებელ გ. ჭყოიძეს, ფიზიკის მასწავლებელ გ. გავაშელს, ქიმიის მასწავლებელ თ. მახვილაძეს, გეოგრაფიის მასწავლებელ კ. გაბუნიას და მწვრთნელ-მასწავლებელ ი. მიგრიაულს—მიეთითოთ.

IX. აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრების ამაღლების საქმეში არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და საგნის მასწავლებლებთან არასაკმარ კონტაქტისათვის აღმზრდელებს: ე. ქალეღიშვილს, წ. ქისტიშვილს (№ 1 სკოლა-ინტერნატი), ტ. გორდელაძეს, გ. გაბუნიასა და დ. გუბელაძეს (№ 2 სკოლა-ინტერნატი)—მიეთითოთ.

X. სპორტულმა განყოფილებამ (ამხ. რ. აიწურაძემ):

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე. ამ მიმართულებით გაზარდოს სკოლის დირექტორებისა და მწვრთნელ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობა, პრინციპულად შეაფასოს იმ მწვრთნელ-მასწავლებელთა საქმიანობა, რომლებსაც ახასიათებთ არაპროფესიული კომპეტენტურობა, გულგრილობა, უპასუხისმგებლობა. გადასინჯონ მწვრთნელ-მასწავლებელთა შემადგენლობა და სპორტის სახეობები დაკომპლექტონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. უზრუნველყონ მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა უთუოდ შესრულება.

XI. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილმა):

ა) 1975—1976 სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად შეამოწმოს გლდანის № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და გამოელინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახოს სათანადო ღონისძიებები;

ბ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებასთან ერთად კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს **1975** წლის 23 ივნისის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ლაშქარაშვილს

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების
სამმართველოსა და ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის განყოფილების

მოხსენებითი ბარათი

გლდანის № 1 და № 2 სპორტულ სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღზრდელობითი და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მიმდინარე წლის 15-დან 27 აპრილის ჩათვლით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ინსპექტორის გ. ჯავახიძის (ხელმძღვანელი), ამავე ინტერნატის მეთოდკაბინეტის მეთოდისტების თ. ადამაძის, შ. ლასხიშვილისა და თ. ქადაგიშვილის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის ი. წოწონავას, თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორის ვ. მელაძის, ამავე ინტერნატის პედაგოგების: ნ. ბარკალაიას. გ. წულაიას და ჯ. ჯურხაძის, საქარხნო რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტის შ. ბერიძის, ლენინის რაიონის მე-7 საშუალო სკოლის პედაგოგის ნ. შარაშენიძის, ქ. თბილისის მძღოლობის სპეციალიზებული სკოლის მწვრთნელების ფ. ბურიაკოვისა და ს. სადოვოის, თბილისის 123-ე საშ. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ნ. კალანდაძის, ქ. თბილისის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორის ს. ბახტაძის, ამავე სკოლის ჩოგბურთის მწვრთნელის ი. გომერის, სპორტული ტანვარჯიშის სკოლის მწვრთნელების გ. ოგანეზოვისა და გ. იაქაშვილის, კიროვის სახ. რაიონის სასპორტო სკოლის დირექტორის ი.ბოჭორიძის, ფარიკაობის სასპორტო სკოლის მწვრთნელის მ. ღალანიძის, მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის სა-

სპორტო სკოლის მეთოდისტის ე. ნიაზაშვილის, რესპუბლიკის სპორტ-კომიტეტის თანამშრომლების: ი. მჭედლიშვილის, ვ. ილინის, ნ. ...ხატის, ი. დოლიძისა და ო. ჭორქიას, ქ. თბილისის ფეხბურთის სასპორტო მწვრთნელის კ. მესხის, ქ. თბილისის ცურვის სასპორტო სკოლის მწვრთნელების რ. ცომაიასა და ლ. ზამბახიძის შემადგენლობით, გლდანის № 1 და № 2 სპორტულ სკოლა-ინტერნატში შეისწავლა სასწავლო-აღმზრდელობითი და სპორტული მუშაობის მდგომარეობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ № 1 და № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატების დირექციებს (დირექტორები: ვ. ჩიხრალაძე, ა. წერეთელი, დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში— მ. ქარსელაძე, ი. მელაძე; აღმზრდელობითი მუშაობის დარგში: შ. ზურაბიშვილი, ლ. ნინუა; სპორტული მუშაობის დარგში: ყ. საბანაშვილი, დ. კინწურაშვილი) ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა და და სპორტის მასწავლებლებს და აღმზრდელებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული.

შენობათა კომპლექსები, რომელიც № 1 სკოლა-ინტერნატში შედგება 6, ხოლო № 2 სკოლა-ინტერნატში—4 შენობისაგან, მოვლილია დამაკმაყოფილებლად. მოწესრიგებულია გათბობის სისტემა, წყალგაყვანილობა და კანალიზაცია. მოწესრიგებულია ეზო-კარმიდამო, გაშენებულია ყვავილნარები და მწვანე ნარგავები. ეზოში საკმაო რაოდენობით დადგმულია გრძელი სკამები. № 1 სკოლა-ინტერნატის საკლასო ოთახებში ახალი და საკმაოდ კარგი ხარისხის ინვენტარია განლაგებული, ხოლო № 2 სკოლა-ინტერნატში ინვენტარი ძველია და გამოსაცვლელი. გემოვნებით არის მოწყობილი ფოიეები. საძინებელ კორპუსებში თითოეული საალმზრდელო ჯგუფისათვის გამოყოფილია სამედიცინო ოთახები, სადაც წარმოებს აღსაზრდელთა თვითმომზადება. № 1 სკოლა-ინტერნატის ეზოს ნაწილი (ფეხბურთის და ვოლომოედნები), კეთილმოუწყობელია, საკმაოდ დიდ მანძილზე შეუღობავია, რაც სხვადასხვა პირებს—სკოლა-ინტერნატის მოედნებზე ფეხით თუ მანქანებით თავისუფალი შესვლა-გამოსვლის საშუალებას აძლევს. აღნიშნულის გამო, აღსაზრდელთა შორისაც მნიშვნელოვნად ძნელდება რეჟიმის მოთხოვნათა დაცვა.

საყოფაცხოვრებო პირობები ძირითადად აკმაყოფილებს ამ ტიპის სკოლა-ინტერნატისათვის წაყენებულ მოთხოვნებს: საძინებელი, სასადილო და სამეურნეო კორპუსები შეესაბამება აღსაზრდელთა სწავლებისა და აღზრდის სათანადო დონეზე დაყენების საქმეს.

№ 1 სპორტულ სკოლა-ინტერნატში სასწავლო და საძინებელ კორპუსებში დაცულია გათბობა და განათების ნორმები. აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან რბილი და მაგარი ინვენტარით, საველმძღვანელოებით, სასწავლო და პირადი ჰიგიენის ნივთებით.

№ 1 და № 2 სპორტულ სკოლა-ინტერნატებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვის მდგომარეობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დგას. იზოლატორები, ექიმ პედიატრის, სტომატოლოგისა და ფიზიოთერაპიული კაბინეტები აღჭურვილია სათანადო აპარატებითა და უზრუნველყოფილია მედიკამენტებით.

მართალია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. ქარსელაძე, თ. ჭელიძე (№ 1 სკოლა-ინტერნატი), ა. წერეთელი (№-2 სკოლა-ინტერნატი)დამაკმაყოფილებლად ასწავლიან თავიანთ საგანს VII, VI დაIV კლასებში მოსწავლეები დაუფლებული არიან საპროგრამო მასალას, მაგრამ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მთელი რიგი მასწავლებლები უპასუხისმგებლოდ ეკიდებაან დაკისრებულ მოვალეობას; მოუმზადებლად ატარებენ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს მ. ბეიტრიშვილი, ო. ცინცაძე (№ 1 სკოლა-ინტერნატის X და VIII კლასები), გ. ტერტეროვა, თ. ოდიშვილი (№ 2 სკოლა-ინტერნატის IV და VI კლასები). ამ კლასების მოსწავლეები სუსტად არიან დაუფლებული ლიტერატურული ნაწარმოებების შინაარსს, წარმოდგენა არა აქვთ შესწავლილი მასალის იდეურ მხარეზე. მეტად დაბალი აქვთ წერითი მეტყველების კულტურა. მასწავლებელი მ. ბეიტრიშვილი ახსნის დროს უშვებს შეცდომებს, ამასთან, მეთოდურადაც გაუმართავი იყო მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი. მასწავლებელი ო. ცინცაძე საუბრის დროს უშვებს ენობრივ შეცდომებს („მათმა გადაწყვეტეს“, „შიგნი არეულობა მოხდაო“ და სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა, მასწავლებლები გულდასმით არ ასწორებენ მოსწავლეთა ნაწერებს, არ ავარჯიშებენ მათ დაშვებული შეცდომების გასწორებაზე, არაობიექტურად, ზშირად ძალზე ლიბერალურად აფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს, მაგალითად, მასწავლებელ ო. ცინცაძეს VIII კლასის მოსწავლე ც. გ-ს 17 თებერვლის ნამუშევარში გაუსწორებია 19 შეცდომა, შეუნიშნავი დარჩენია 3; ნაშრომი კი ნიშან „4“-ზე შეუფასებია. X კლასის მოსწავლის მ. ქ-ს 21 დეკემბრის ნამუშევარში მასწ. მ. ბეიტრიშვილს ვერ შეუნიშნავს დაშვებული შეცდომა—„ქართული კლასიკური მწერლობის დიდ მოღვაწეთა შორის მიხ. ჯავახიშვილს ერთ-ერთი საპა-

ტიო ადგილი უკავია". ამავე მოსწავლის წამუშევარში მასწავლებელს გაუსწორებია 10 შეცდომა, მაგრამ 9. მხედველობიდან გამორჩენია, ნაშრომი კი „3"-ზე შეუფასებია.

№ 1 სკოლა-ინტერნატის X კლასებში (მასწ. ალ. ხუციძე, მ. ბეიტრიშვილი) ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა არასასურველი შედეგი გვიჩვენა. ჯერ ერთი, ორივე კლასში საკონტროლო წერები არაორგანიზებულად, მოუმზადებლად ჩატარდა: X^1 კლასში 23 მოსწავლიდან წერას ესწრებოდა მხოლოდ 11 მოსწავლე, ხოლო X^2 კლასში 31 მოსწავლიდან—17. X^1 კლასში 11 მოსწავლიდან შეფასება „2" მიიღო ორმა, X^2 კლ. 17 მოსწავლიდან კი ოთხმა მოსწავლემ.

შემოწმებულ სკოლა-ინტერნატებში ლიტერატურის წრეები არ მუშაობენ, მასწავლებლები სწავლებაში არ იყენებენ თვალსაჩინოებებსა და ტექნიკურ საშუალებებს, არ ასწორებენ მოსწავლეთა საშინაო დავალების რვეულებს. მოსწავლეები არ კითხულობენ კლასგარეშე საკითხავ სავალდებულო ლიტერატურას.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სკოლა-ინტერნატების დირექციებისაგან არ ეწევა სათანადო მეთოდური დახმარება და კონტროლი. დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეების მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია და ვერავითარ პრაქტიკულ დახმარებას ვერ უწევს საგნის მასწავლებლებს. ორივე სკოლა-ინტერნატში სუსტად მუშაობს მეთოდაერთიანებები. მასწავლებელთათვის მეთოდიკისა და ზოგადი პედაგოგიკის საკითხებზე არ ეწყობა ლექცია-მოხსენებები, დისპუტები.

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება ძირითადად დამაკმაყოფილებელია (მასწავლებლები ა. სერიხი, ნ. დავითაშვილი, ვ. მედვედი—№ 1 სკოლა-ინტერნატი; ვ. ანდრიაზაშვილი, ს. კაპარავა, დ. დგებუაძე—№ 2 სკოლა-ინტერნატი). ყველა მასწავლებელს აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟი და გარკვეული გამოცდილება. მიუხედავად ამისა, რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში მაინც შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები: მოსწავლეთა უმრავლესობა მასწავლებელთა კითხვებზე ვერ იძლევა სწორ, ამომწურავ, გამართულ პასუხს, ხშირად უშვებენ მეცდომებს მახვილებში, რასაც მასწავლებლები სათანადო რეაგირების გარეშე ტოვებენ. სათანადო სიმარლეზე არ დგას გაკვეთილზე ლექსიკური მუშაო-

ბა, გულმოდგინედ არ ხდება ახალი სიტყვების ახსნა-განმარტება და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი კლასების მოსწავლეები არასრულყოფილად ფლობენ ლიტერატურის რვეულებს, არ წერენ თემებს ამა თუ იმ ნაწარმოების მიხედვით, არ იწერენ ციტატებს.

საშინაო დავალების რვეულები სწორდება, მაგრამ ხშირად გვხვდება გაუსწორებელი შეცდომები. ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კალიგრაფიის გაუმჯობესების (მასწ. ნ. დავითაშვილი) საკითხს.

მასწავლებელი ვ. მედვედი ნაკლებად იყენებს თვალსაჩინო მასალებს და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, გრამატიკულ ტაბულებს, რაც აუცილებელია რუსული ენის სწავლებისას. საშინაო დავალების რვეულებს ასწორებს არასისტემატურად. დაბალია მისი მომთხოვნელობა როგორც მოსწავლეთა მიმართ, ისე საკუთარი თავისადმი. იგი გაკვეთილისთვის სათანადოდ არ ემზადება. ახალი მასალის „განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები“,—ახსნისას მაგალითები წინასწარ არ ქონდა მომზადებული და პირდაპირ წიგნიდან უკარნახა მოსწავლეებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მასწავლებელი ვ. ანდრაზაშვილი (მე-2 სკოლა-ინტერნატი) მეთოდურად გამართულ გაკვეთილებს ატარებს, იყენებს თვალსაჩინოებას, მაგრამ მას ესაჭიროება თეორიული დონის ამაღლება. იგი მეტყველებისას, ზოგჯერ, უშვებს შეცდომებს: მაგალითად, „Наш урок озоглавлена, много магазины“.

მასწავლებელი ს. კაჭარავა კარგად ფლობს საგანს, მაგრამ, სამაგიეროდ, მეთოდურ დაელოვნებას საჭიროებს. ძალზე აქტიურობს გაკვეთილის მსვლელობისას და ამიტომ, არც თუ იშვიათად, კლასი პასიურ მდგომარეობაში რჩება. ახალი მასალას ახსნისას მასწავლებელი თვითონვე სვამდა კითხვებს ქვეწყობილი წინადადებების შესახებ და თვითონვე პასუხობდა. ანალოგიური მდგომარეობაა VII კლასში, სადაც მასწ. დ. გუელაძე ასწავლის. ამ კლასის საკონტროლო წერის რვეულებში შეუმჩნეველადაა დარჩენილი საკმაოდ ბევრი შეცდომა. მაგალითად: „высокое нездаровныи, ребионок погода“. (მოსწ. ტ-ს რვეული) და ა. შ. მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომებს არასრულყოფილად ასწორებენ აგრეთვე მასწავლებლები ს. კაჭარავა და ვ. ანდრაზაშვილი.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების მუშაობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. წაკითხული

მოხსენებები რუსული ენის სწავლების აქტუალურ საკითხებს ეხება, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები ჯერ კიდევ [illegible] თად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე გამოცდილების [illegible] გაზიარების მიზნით.

ორიენ სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა (მასწ. მასწ. დ. ჭყოიძე, მ. ანთელავა, ზ. ჭელიძე, ი. ჯანაშვილი—№ 1 სკოლა-ინტერნატში, ლ. ბაფეროვა, რ. წერეთელი და ლ. რაზმაძე—№ 2 სკოლა ინტერნატში). X^1 და X^2 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. დ. ჭყოიძე) მეტად დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს მათემატიკის საპროგრამო მასალის ცოდნაში, მაგ.: მათ არ იციან ექვსკუთხედის, რომბის დახაზვა და განსაზღვრა, ვერ გამოთვალეს ტოლგვერდა სამკუთხედის ფართობი მისი გვერდით, ვერ განსაზღვრეს წრისა და მრავალკუთხედის ფართობი და ა. შ. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა როგორც საკლასო-საშინაო დავალების, ისე საკონტროლო ნერის რვეულების წარმოებას. საკონტროლო წერის რვეულებში მოსწავლეთაგან დაშვებული შეცდომები მასწავლებლის მიერ არ არის შემჩნეული და გასწორებული. ამავე დროს, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოები ერთმანეთის ასლს წარმოადგენს—გადაწერილია ერთმანეთისაგან, X კლასებში მასწავლებელმა ჭყოიძის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ფაქტზე მიუთითებს ისიც, რომ X^1 კლასში შემოწმების დღეს ჩატარებული წერითი საკონტროლო სამუშაოების შედეგები მეტად სავალალოა (არცერთ მოსწავლეს არ მიუღია დადებითი შეფასება. იხ. დანართი № I) მაშინ, როდესაც აღნიშნული ამოცანა მასწავლებელს წინასაკონტროლო წერაზე ქონდა მიცემული და ყველა მოსწავლე დადებითი ნიშნით იყო შეფასებული.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება VII, VIII კლასებში (მასწ. ზ. ჭელიძე): მასწავლებელი უხარისხოდ ადგენს გაკვეთილის გეგმას, არ მუშაობს თავის თავზე. საერთოდ, მისი მომზადების დონე მათემატიკაში დაბალია.

VIII კლასში დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეს მასწავლებელმა დააწერინა $\frac{a+t}{a} - b = \frac{b+t}{b}$ განტოლება და ამოახსნევინა t-ს მიმართ $t = \frac{ab^2}{c-a}$. მიცემულ კითხვაზე $x_1 = x_2 = 0$ შეედგინათ კვადრატული განტოლება, მოსწავლეებმა მცდარად დაწერეს: $x^2 + x + q$

$=0$, $ax^2+x+c=0$. მასწავლებელმა შეცდომით შედგენილი განტოლება ვერ გაასწორა და, რა თქმა უნდა, ვერც კლასს მიუთითა განტოლების სწორად ამოხსნის გზაზე. გაკვეთილზე ჩატარებული სამუშაო კრუპასუხებდა თემას. საერთოდ, VIII[1] კლასის მოსწავლეებმა მათემატიკის საპროგრამო მასალიდან თითქმის არაფერი იციან.

ანალოგიური მდგომარეობაა № 2 სკოლა-ინტერნატის VIII კლასში (მასწ. ლ. ბაფეროვა). მათემეტიკის სწავლების დონე ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. მოსწავლეები, წერენ რა ფორმულას $A = \frac{100\,P}{N}$ პროცენტული დამოკიდებულების დასამყარებლად, ვერ არჩევენ, რომელი ასო რა სიდიდეს ეთანადება. მოსწავლეთა უმრავლესობამ ვერ ამოხსნა $x^3-Sx+6=0$ კვადრატული განტოლება. მათ ვერც კვადრატული სამწევრი დაშალეს წრფივ თანამამრავლებად, ვერ შეძლეს წრფივი ფუნქციისა და კვადრატული ფუნქციის გრაფიკების აგება. მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ გამოსახულების რაციონალურ გარდაქმნაზე და სხვ. აღნიშნულ კლასში ჩატარებულმა საკონტროლო წერამ მათემატიკაში მეტად არადამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა (იხ. დანართი № 1. თემატიკა თვით მასწავლებლის მიერ იქნა შერჩეული). ზოგიერთი ხასიათის ნაკლოვანებები შეინიშნება მათემატიკის სწავლებაში – № 1 სკოლა-ინტერნატის VII—IX კლასებში (მასწ. ვ. ანთელავა), V კლასში (მასწ. ი. ჯანაშვილი), № 2 ინტერნატის IV—VIII კლასებში (მასწ. რ. წერეთელი და ლ. რაზმაძე), სადაც მათემატიკის მასწავლებლები არ მუშაობენ მთელი პასუხისმგებლობით და მოსწავლეთა მომზადების დონეც მათემატიკაში მეტად დაბალია.

ორივე ინტერნატში მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებები არსებობს ფორმალურად, ასევეა მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საქმეც.

№ 1 სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა (მასწ. გ. გავაშელს დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი—ფიზიკის სპეციალობით და ზ. ჭელიძეს — თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს დასწრებული განყოფილების მათემატიკის ფაკულტეტი. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელ გ. გავაშელს 16 წლის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება აქვს, იგი, სათანადოდ ვერ ფლობს საგნის სწავლების ხერხებს და

მეთოდებს. იგი სათანადოდ არ იმაღლებს თავის მეთოდურ დონეს და გაკვეთილებს ტრაფარეტული, მოძველებული მეთოდებით ატარებს. VI, VIII,I X დაX კლასებში გ. გავაშელი მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება მოახდინა ინდივიდუალური წესით, საშინაო დავალებამიცემული ერთი და იგივე მასალა მოიყოლა 3 მოსწავლეს, რომლებიც თხრობის დროს უშვებდნენ უამრავ შეცდომას. გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელი ვერ ახერხებდა კლასის გააქტიურებას, გამოძახებული მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებსაც თვითონ ასწორებდა, ამიტომ მოსწავლეთა უმრავლესობა დაუსაქმებელი, პასიურ მდგომარეობაში იყო მასწავლებელი გ. გავაშელი ახალი მასალის ახსნას აწარმოებს მონოტონური საუბრის გზით, მეტად მცირე დროში. ფიზიკურ მოვლენებს შორის ვერ ამყარებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებებს და ტექნიკურ საშუალებებს, მაშინ როდესაც მეათე კლასში ახალი მასალის—„ატომის ბირთვის აგებულება, ბმის ენერგიის დამოკიდებულება მასიურ რიცხვზე“ და მეექვსე კლასში—„მარტივი მექანიზმების“ ახსნისას მათი გამოყენება აუცილებლობასაც კი წარმოადგენდა. აღნიშნული კლასების მოსწავლეებმა დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ფიზიკის საპროგრამო მასალის ცოდნაში. მაგალითად, VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან მუშაობისა და სიმძლავრის ერთეულები. საერთოდ, მასწავლებელი აღნიშნულ კლასში არასაკმაო ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა ვარჯიშს ფიზიკურ სიდიდეთა საზომ ერთეულებზე.

საპროგრამო მასალის ცოდნაში დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს X კლასის მოსწავლეებმაც: მათ წარმოდგენა არ აქვთ ატომის აგებულების, ატომის ბირთვის ხელოვნური გარდაქმნის, α, β, γ გამოსხივების მექანიზმის, ატომური ბირთვების ბმის ენერგიისა და სხვათა შესახებ.

ფიზიკის სწავლებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მე-8 და მე-9 კლასებში ჩატარებული საკონტროლო სამუშაოს (მარტივი ამოცანები მიცემული იქნა ფიზიკის დამხმარე სახელმძღვანელოს სავარჯიშოებიდან შედეგები სავალალოა. (იხ. დანართი № 1).

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა № 1 სკოლა-ინტერნატის მეშვიდე კლასებშიც, მასწავლებელი ზ. ჭელიძე ვერ ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს. ამიტომ VII კლასის ყველა მოსწავლე მეტად დაბალ მომზადებას ამჟღავნებს ფიზიკის საპროგრამო მასალის

ცოდნაში: მოსწავლეთა შორის არცერთმა არ იცის, რა არის ელექ-
ტრული დენი, რას გვიჩვენებს ძაბვა, რაზეა გამტარის წინაღობა და
მოკიდებული. ვერც ერთმა მათგანმა ვერ დახაზა ჯიბის ფანრის
ტარეის ელემენტარული წრედის სქემა. მოსწავლეები და თვით მას-
წავლებელიც ვერ ანგარიშობენ პარალელურად ჩართულ გამტართა
საერთო წინაღობას, როგორ არის წინაღობა დამოკიდებული განშ-
ტოების წინაღობათა რაოდენობის ცვლილებაზე, ფორმულაში
$R = \frac{U}{J}$ შემავალ სიდიდეებს შორის ამყარებენ ფუნქციონალურ
დამოკიდებულებას, რაც არასწორია და სხვა. უპასუხისმგებლოდაა
ნაწარმოები აღნიშნული კლასის მოსწავლეთა საკლასო-საშინაო დავა-
ლების რვეულები, მათში უმრავი შეცდომაა გაპარული, ხოლო მოს-
წავლეთა უმრავლესობას საშინაო დავალების რვეული არც კი აღმო-
აჩნდა.

ფიზიკის მასწავლებლები გ. გავაშელი და ზ. ჭელიძე უპასუხის-
მგებლოდ ეკიდებიან ფიზიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-
გახმტკიცების საქმეს. სკოლა-ინტერნატში ფიზიკის კაბინეტი არც კი
არსებობს. ფიზიკის ხელსაწყო-იარაღები, რაც საკმაო რაოდენობითაა
შეძენილი, ერთ პატარა ოთახშია შეყრილი და სახელდახელოდ შე-
ჭედილ თაროებზეა დაწყობილი. არ ხდება მათი გამოყენება სწავლე-
ბაში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა-ინტერნატის დირექციას ფიზი-
კის კაბინეტისათვის ერთი საკმაო ფართობის ოთახი გამოუყვია, იგი
ჯერ კიდევ კეთილმოუწყობელია და მასში მხოლოდ ერთ-ერთი კლა-
სი მეცადინეობს. კაბინეტში მინიმალური პირობებიც კი არ არის შე-
ქმნილი ფიზიკის პროგრამით გათვალისწინებული ფრონტალურ-ლა-
ბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩასატარებლად.

სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელებისათვის ფიზიკაში არ ტარ-
დება კლასგარეშე მუშაობა, ფიზიკის წრის საქმიანობა, რომელიც VIII
—X კლასელ მოსწავლეებისათვის არის შექმნილი, ფორმალურ ხასი-
ათს ატარებს. მასწავლებელი გ. გავაშელი თვითონ აფორმებს მუშაო-
ბის აღმრიცხველ დღიურებს და სხვა დანარჩენ მასალას.
ფიზიკის მასწავლებლები მეთოდური მუშაობის არც ერთ ფორმაში
არ არიან ჩაბმული, ამიტომაც ისინი ვერ იმაღლებენ მეთოდურ დო-
ნეს.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება (მასწ. თ. მახვი-
ლაძე, ა. კუკულავა —№ 1 სკოლა-ინტერნატი, ც. ხაჩიძე —№ 2 სკოლა-
ინტერნატი). VIII კლასში (მასწ. თ. მახვილაძე) გამოსაკითხი მასალის

„გოგირდმჟავას ფიზიკური თვისებები“ გადაცემისას და გაულილ მასალის ცოდნაში მოსწავლეებმა მეტად დაბალი მომზადება გამოავლინეს. მათ არ იციან რეაქციათა განტოლებების შედგენა, ელექტროლიტური აქტიურობის რიგი და მისი გათვალისწინება განტოლებათა შედგენის დროს და სხვა. მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩაბმული არ იყო მუშაობაში. ცოდნის შემოწმების პროცესში მხოლოდ ერთმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, რომელმაც შეფასება „3“ დაიმსახურა, მასწავლებელი ახალი მასალის—„გოგირდმჟავას ქიმიური თვისებები“ ახსნის პროცესში ვერ ატარებს ტექნიკურად გამართულ სადემონსტრაციო ცდებს, სადემონსტრაციო მაგიდის უქონლობის გამო, ცდის მსვლელობა მოსწავლეთა უმრავლესობისათვის არ იყო თვალსაჩინო. მასწავლებელი დროს ვერ ანაწილებს რაციონალურად, ამიტომ ახალი მასალის ახსნას და მისი შეთვისების შემოწმებას ვერ ახდენს სრულყოფილად. ანალოგიური ხარვეზებით ჩაატარა მან გაკვეთილი IX კლასში. მეცხრეკლასელებმა როგორც საშინაო დავალებად მიცემული მასალის—„ალუმინის ნაერთების“, ისე განვლილი მასალის ცოდნაში დაბალი მომზადება გამოავლინეს. მოსწავლეთა უმრავლესობა, გაკვეთილზე დაუსაქმებელია, გამოძახებულ იქნა მხოლოდ ერთი მოსწავლე, რომელთანაც გამართულ დიალოგში დიდი დრო გავიდა, შეფასებაც არაობიექტური იყო.

№ 1 სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია X^1, X^2 კლასებშიც (მასწ. ა. კუკულავა). მოსწავლეებმა სუსტად იციან საპროგრამო მასალა, ვინაიდან მასწავლებელი ა. კუკულავა მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, გაკვეთილს ატარებს დაბალ დონეზე, ახსნის პროცესში უშვებს შეცდომებს. მაგალითად, მისი მტკიცებით, ცილების სინთეზში მონაწილეობს 10 ამინომჟავა. აგრეთვე ცილების მიღების ძამამთავრად ასახელებს ოს ქიმიკოსს ზელინსკის და სხვა, რაც არასწორია. მასწავლებელი ახალი მასალის ახსნას და მის განმტკიცებას აწარმოებს ზერელედ, სრულყოფილად ვერ აღწევს მიზანს და ვერ ქმნის კლასში პრობლემურ სიტუაციას. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, ვარჯიშს ამოცანების ამოხსნაზე. X^2 კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგები მეტად დაბალია (იხ. დანართი 1). არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მოსწავლეთა საშინაო დავალების რვეულების წარმოება, სადაც უმრავლესობა შეცდომაა დაშვებული. მასწავლებელი ა. კუკულავა სწორად ვერ ახდენს გაკვეთილის თემე-

ბის დაგეგმვას, აშიტომ იგი პროგრამული მასალის გავლაში ჩამორ-
ჩება.

ეროვნული

მიუხედავად იმისა, რომ № 1 სკოლა-ინტერნატში ქიმიის სწავ-
ლებაში სერიოზული ნაკლოვანებანი შეინიშნება, ქიმიაში ზემოუღიათ
ფაკულტატიური კურსის სწავლება (მასწავლებელი თ. მახვილაძე,
ა. კუკულავა). რა თქმა უნდა, სკოლა-ინტერნატში ფაკულტატიური
კურსის სწავლებისათვის არაფერი კეთდება და მისი მუშაობა ფორმა-
ლურ ხასიათს ატარებს. ასევე ფორმალურად არსებობს ნორჩ ქიმი-
კოსთა წრე, რომელსაც მასწავლებელი ა. კუკულავა ხელმძღვანელობს.

№ 1 სკოლა ინტერნატი სათანადოდ არ არის გამოყენებული
ქიმიის კაბინეტი, რომელსაც ორი ოთახი აქვს გამოყოფილი, მცირე
რაოდენობით აქვთ ქიმიური რეაქტივები და ჭურჭელი, მაგრამ არ-
სებული თვალსაჩინოებაც სათანადოდ არ არის გამოყენებული, არ
გააჩნიათ ტექნიკური საშუალებანი, გარდა კინოაპარატისა, რომელიც
არ მუშაობს და კარადაშია ჩაკეტილი. კაბინეტში არ არის გამოკრუ-
ლი ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობის წესები, არ აქვთ ამწოვი კა-
რადა, აფთიაქი პირველი დახმარების საშუალებებით და სხვა. ყურა-
დღება არ ექცევა თვითნაკეთი ხელსაწყოებით კაბინეტის გამდიდ-
რებას.

ანალოგიური მდგომარეობაა № 2 სპორტულ სკოლა-ინტერნატ-
ში (მასწავლებელი ც. ხაჩიძე), სადაც ქიმიის კაბინეტი არც კი არსე-
ბობს და იგი შეთავსებულია ფიზიკის კაბინეტთან, ამ გაერთიანებულ
კაბინეტში ძალზე მცირე რაოდენობით აქვთ ქიმიური რეაქტივები
და სხვა თვალსაჩინო მასალები. ტექნიკური საშუალებებიდან აქვთ
მხოლოდ კინოაპარატი და მასაც არ იყენებენ სწავლებაში. არ ტარ-
დება პროგრამით გათვალსწინებული პრაქტიკული სამუშაოები, შეუ-
სრულებელია საკონტროლო ნაწილის ნორმები.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ქიმიაში № 2
სპორტული სკოლა-ინტერნატის VII და IX კლასის მოსწავლეებმა,
IX კლასში საშინაო დავალებად მიცემული მასალის—„ქრომის ანჰიდრიდი"
გაძოკითხვისას მოსწავლეებმა დაახასიათეს ქრომის ანჰიდრიდიდან
წარმოქმნილი ქრომისმჟავა ოქროსმჟავა. მათი შესაბამისი ქრომატე-
ბი და ბიქრომატი, აღნიშნეს მათი ფოთიერთგარდაქმნები, მაგრამ ვერ
დაწერეს სათანადო რეაქციათა განტოლებები, რაზედაც მასწავლე-
ბელსაც არ მიუცია მიმართება.სწავლების პროცესში არ იყო ჩაბმული
კლასის ყველა მოსწავლე. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელმა
ახალი მასალა არ ახსნა, მთელი დრო მოსწავლეთა გამოკითხვას

მოანდომა, არც ერთი ამოცანა არ იქნა ამოხსნილი, რითაც დასტურ დება, რომ მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა ვარჯიშს პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, პრადამაკ-მაყოფილებელი აგრეთვე საშინაო დავალების რეგულების წარმოებაც.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ბიოლოგია ორივე სკოლა-ინ-ტერნატის IX კლასებში (მასწ. ლ. ლაბაძე—№ 2 სკოლა-ინტერნატი, შ. ზურაბიშვილი—№ 1 სკოლა-ინტერნატი). სადაც მოწავლეთა მომზადების დონე საპროგრამო მასალის მიხედვით დააკმაყოფილებელია. მაგრამ, № 1 სკოლა-ინტერნატის VIII—X კლასებში, სადაც ამ საგანს მასწავლებელი ტ. გვარჯალაძე ასწავლის, მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს. მასწავლებელი სათანადოდ არ მუშაობს თავის თავზე, არ კითხულობს დამხმარე და მეთოდურ ლიტერატურას, სათანადოდ ვერ ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებში, რას გამოც მოსწავლეებს არ აქვთ მტკიცე ცოდნა. VIII კლასის მოსწავლეებს უჭირთ პასუხის გაცემა კითხვებზე: რა განსხვავებაა სიმპატიკურ და არასიმპატიკურ ნერვულ სისტემებს შორის, რა ეკუთვნის ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რა ნაწილებისაგან შედგება თავის ტვინი; X კლასის მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ეკოლოგიაზე. ეკოლოგიის ძირითად ფაქტორებზე და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს გაკვეთილის პროცესში ჩაბმული ყავს მოსწავლეთა მცირე ნაწილი, ხოლო მოსწავლეთა ძირითადი მასა ყურადღების გარეშე რჩება. იგი ხშირად ერევა მოსწავლეს თხრობის პროცესში და დაშვებული შეკდომებს გასწორებას ცდილობს არა მოსწავლეთა საერთო ძალით, არამედ ითანან ყოველივე ამასთან ერთად, მაწავლებელი ხშირად ხმარობს გაუმართავ ფრაზებს, ასე მაგალითად: „წინა ტვინი ქმნის მის ჩამოყალიბებას ცნობისადმი, მან დისერტაცია დაიცვა ყველაზე დიდი, ახლა მე ხელში მიჭირავს ნახევარსფერო“ და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწ. ტ. გვარჯალაძე არ გეგმავს საპროგრამო მასალას მეოთხედების მიხედვით, ხოლო თემატიკურ გეგმას არ ანაწილებს გაკვეთილებად; სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მას საპროგრამო მასალაში, VIII კლასში, აქვს ჩამორჩენა.

№ 1 და № 2 სკოლა-ინტერნატებში ბიოლოგიის სწავლებაში გამოვლინებული საერთო ნაკლი გამომდინარეობს იქიდან, რომ მასწავლებლებისათვის ცნობილი არ არის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 2 იანვრის საინსტრუქციო წერილი ბი-

ოლოგიაში საკონტროლო წერების ჩატარების შესახებ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიოლოგიის მასწავლებლები მოსწავლეებს არ ავალდებულებენ, აწარმოონ სალექსიკონო მუშაობა, სპეციალურ რვეულებში ჩაიწერონ ძნელად შესათვისებელი წესები და ბიოლოგიური ტერმინები, ჩაიხატონ სქემები, ცხრილები და სხვა.. არსებითი ნაკლი, რაც სკოლა-ინტერნატების შემოწმების შედეგად გამოვლინდა, გამოიხატება აგრეთვე იმაშიც, რომ ძირითადად ბიოლოგიის სწავლებისას თეორიული დებულებები ზერელედ ისწავლება და მოწყვეტილია სოფლის მეურნეობის პრაქტიკას. ასე მაგალითად, № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია საცდელი მუშაობისათვის სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი (თუმცა ნაკვეთის გამოყოფის შესაძლებლობა ფაქტიურად არსებობს), ყოველივე ეს კი არ იძლევა ბიოლოგიის თეორიული კურსის პრაქტიკასთან დაკავშირებისა და საზოგადოებრივად—სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა ეფექტურად ჩაბმის საშუალებას.

აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებს არ გააჩნიათ ბიოლოგიის კაბინეტი, აგრეთვე არ აქვთ შესაძლებლობა იმისა, რომ სწავლებაში სათანადოდ გამოიყენონ ტექნიკური საშუალებანი.

ისტორიას № 1 სკოლა-ინტერნატში დამაკმაყოფილებლად ასწავლის მასწავლებელი მ. მჭედლიშვილი. იგი ფლობს საგანს, მაგრამ მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს VI და VII კლასებში ახასიათებდა გარკვეული ნაკლოვანებანიც: მასწავლებელი, საშინაო დავალების გამოკითხვის დროს, ხშირად ერევა მოსწავლეთა თხრობაში, სათანადო ყურადღებას არ აქცევს გავლილი მასალის გაშეორებას, VII კლასში მან არაფერი მისცა მოსწავლეებს გასამეორებლად, მით უმეტესად, რომ გაკვეთილი ფაქტიურად IV მეოთხედის ბოლოს ჩატარდა და პროგრამითაც საკმაოდ დიდი დროა განმეორებისათვის გათვალისწინებული. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელი მ. მჭედლიშვილი სწავლებაში არ იყენებს ტექნიკურ საშუალებებს, ანალოგიური მდგომარეობაა ამავე სკოლა-ინტერნატის IX კლასში, სადაც ისტორიას მასწავლებელი თ. კოკზირიძე ასწავლის. მასწავლებელი ფლობს საგანს, მაგრამ, პედაგოგიური მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟის მიუხედავად, მეთოდურად საკმაოდ ეფექტურად ვერ წარმართავს გაკვეთილებს: მაგალითად, საშინაო დავალება—„მრისხანე 1918 წელი“ ინდივიდუალურად მხოლოდ ერთ მოსწავლეს გამოკითხა, მაშინ როდესაც საჭირო იყო აღნიშნული მასალის საკვანძო საკითხებად დაყოფა და რამდენიმე მოსწავლის გამოძახება. სწორედ ამიტომ, საშინაო და-

ლების გამოკითხვისას, მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა პასიურ მდგომარეობაშია. მასწავლებელი თ. კოვზირიძე შემოქმედებითად არ უდგება ტექნიკური საშუალებების სწავლების პროცესში გამოყენების საქმეს. იყენებს მხოლოდ რუკას. იგი არის ისტორიის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, რომლის მუშაობაც არადამაკმაყოფილებელია. გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი დაუმუშავებელია.

№ 2 სკოლა-ინტერნატშიც ისტორია დაახლოებით ასეთივე ასპექტში ისწავლება. მასწავლებელი გ. გოქაძე ფლობს საგანს, მან VIII კლასში ახალი მასალა „ნაროდნიკები" ძირითადად გასაგებად ახსნა, მაგრამ სათანადოდ არ განმარტა რუსული თემის არსი და ნაროდნიკების მცდარი შეხედულება რუსული თემის, როგორც სოციალიზმის ჩანასახის შესახებ. იგი საკმაო ყურადღებას არ აქცევს აგრეთვე გავლილი მასალის განმეორებას.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება გეოგრაფია № 2 სკოლა-ინტერნატის V—VII კლასებში (მასწ. ლ. ნინუა). ამ კლასების მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის საფუძვლიანი ცოდნა გამომჟღავნეს. მასწავლებელი ლ. ნინუა იყენებს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების მრავალფეროვან მეთოდებსა და ხერხებს. ახალი მასალის ახსნისას მოსწავლეებს აქტიურად აბამს მუშაობაში, სისტემატურად იყენებს თვალსაჩინოებას და მიზანსაც კარგად აღწევს. V კლასში მან ახალი მასალის—„ატმოსფერული ნალექები"—ახსნისას დამაჯერებლად განუმარტა მოსწავლეებს, თუ რას ეწოდება ატმოსფერული ნალექი, როგორ წარმოიშობა წვიმა, თოვა, სეტყვა და სხვა, ხოლო სახელმძღვანელოში მოთავსებული სურათებისა და სხვა საილუსტრაციო მასალების გამოყენებით დაძლია გეოგრაფიული მოედნის უქონლობით გამოწვეული სიძნელეები.

ნაკლოვანებებით ხასიათდება გეოგრაფიის სწავლება № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატების იმ კლასებში, სადაც ამ საგანს მასწავლებლები ს. ჩკალოვა, კ. გაბუნია, გ. სუჯაშვილი, თ. ტყეშელაშვილი და ი. მელაძე ასწავლიან. № 1 სკოლა-ინტერნატის VIII კლასებში (მასწ. ჩკალოვა) მოსწავლეთა გამოკითხვით გამოირკვა, რომ მათ არ იკოდნენ საშინაო დავალებად მიცემული მასალა „უზ ეკეთისა და თურქმენეთის სსრ„, მოსწავლეები საშინაო დავალების გადმოცემისას უშვებდნენ უამრავ შეცდომას, რასაც მასწავლებელი უყურადღებოდ ტოვებდა ზოგჯერ კი მოსწავლეთა მართებულ პასუხებს მცდარად თვლიდა და აძლევდა შენიშვნებს. მაგალითად, დასმულ კითხვაზე მრეწველობის რა დარგებია განვითარებული უზბეკეთსა და

თურქმენეთში, მოსწავლეთა პასუხი—„გაზის მრეწველობა“ მასწავლებელმა არ მიიჩნია სწორად და შეასწორა—„გაზის მოპოვება“, მოსწავლეები განმარტავენ, რომ „საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 250 მილიონზე მეტია, მასწავლებელი კი ასწორებს—“ 250 მილიონი“ და სხვა. ახალი მასალის ახსნისას იგი რუკაზე არასწორად უჩვენებს ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკების საზღვრებს. ამავე დროს, ყირგიზეთზე საუბრისას, არ გაუმახვილებია ყურადღება ფერგანის, გისარისა და ვახშის ველების მნიშვნელობაზე. ადგილი ქონდა არასწორ გამოთქმებსაც: „ყირგიზეთის საბჭოთა რესპუბლიკა ეწოდა მომთაბარე ცხოვრებას, ყირგიზეთში არ მოჰყავთ ბამბა. ყირგიზეთი ერთად ერთი რესპუბლიკაა, სადაც არ მოჰყავთ ბამბა“ და სხვა. ანალოგიური მდგომარეობაა V—VI—VII კლასებშიც, სადაც მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის ცოდნაში დაბალი მომზადება უჩვენეს. აღნიშნულ კლასებში მოსწავლეთაგან დაშვებულ უამრავ შეცდომას მასწავლებლები არ ასწორებენ ან პირიქით, ასწორებენ შეცდომით. მაგალითად, VII კლასში მასწავლებელი თ. ტყეშელაშვილი ახალი მასალის გადაცემისას აღნიშნავდა, რომ საქართველო არა მარტო რელიეფით განსხვავდება, არამედ ბუნებრივი პირობების მიხედვითო“—ხოლო VI კლასში (მასწავლებელი გ. სუჯაშვილი) ახალი მასალის—„ძველი მთების ოლქი“—ახსნისას არ დაახასიათა ზემო სილეზიის ქვანახშირის აუზი, არ ისაუბრა ჩეხეთის მასივზე, არ მიმოიხილა საფრანგეთის ცენტრალური მასივი და ა. შ. ახალი მასალის—„ცენტრალური აზიის სამხრეთ ნაწილი“ გადაცემისას VI კლასში მასწავლებელმა ი. მელაძემ დაუშვა უზუსტობანი; მაგალითად: „ტიბეტს დასავლეთიდან ესაზღვრება პამირის მთები, ტიბეტში ძირითადად ცხოვრობენ ჩინელებიო“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელ ი. მელაძეს (იგი, ამავე დროს, № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეა სასწავლო მუშაობის დარგში) მეოთხედური ნიშნები გეოგრაფიაში არ გამოყავს მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე, მაგალითად, III მეოთხედში VIII კლასის მოსწავლე კ-ს მიმდინარე აღრიცხვით გეოგრაფიაში მიღებული აქვს „4“, და „4“, მეოთხედური შეფასებით კი „5“ აქვს. ასევე, მოსწავლე ღ-ს III მეოთხედის განმავლობაში მიღებული აქვს „3“, „5“ და „4“. ხოლო საბოლოდ კი „3“-ზეა შეფასებული.

დაბალ დონეზე დგას გეოგრაფიის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობა № 2 სკოლა-ინტერნატში. გეოგრაფიის მასწავლებლები მეთოდური მუშაობის არცერთ ფორმაში არ არიან ჩაბმული, № 1 სკოლა-ინტერნატში მეთოდგაერთიანების (ხელმძღვანელი კ. გაბუნია) მუ-

შაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. გეგმით გათვალისწინებული ყველა თემა არ არის დამუშავებული მეთოდგაერთიანების სხდომებზე, დაშვებული თემები თავის დროზე არ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს.

ორივე სკოლა-ინტერნატში არ გააჩნიათ სხვადასხვაგვარი თემატური რუკები, არ მოეპოვებათ არცერთი დიაპოზიტივი და დიაფილმი, არ აქვთ შექმნილი დედამიწის შემადგენელი ქანების კოლექციები და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ინტერნატს გარს აკრავს ეზოსავით რამდენიმე მიწის ფართობი, არცერთ ინტერნატში მოწყობილი არ არის გეოგრაფიული მოედანი და სხვა.

აღმზრდელობითი მუშაობა № 1 სპორტულ სკოლა-ინტერნატში (უფროსი აღმზრდელი შ. ზურაბაშვილი) და № 2 სკოლა-ინტერნატში (უფროსი აღმზრდელი ლ. ნინუა) შემდეგ სურათს იძლევა:

წლიური სამუშაო გეგმები შედგენილია შინაარსიანად, რომლიდანაც გამომჟინარეობს აღმზრდელ-მასწავლებელთა მეთოდიური, საგნობრივი წრეების, მეთოდგაერთიანებათა, უფ. პ/ხელმძღვანელისა და სხვა სამუშაო გეგმები.

№ 1 სკოლა-ინტერნატის 330 აღსაზრდელი გაერთიანებულია 11 საალმზრდელო ჯგუფში, ხოლო № 2 სკოლა-ინტერნატის 240 აღსაზრდელი—10 საალმზრდელო ჯგუფში. საალმზრდელო უნებზე დასაქმებულ აღმზრდელ-მასწავლებელთა უმრავლესობას სათანადო პედსტაჟი და სკოლა-ინტერნატში მუშაობის გამოცდილება გააჩნია. მიუხედავად ამისა, საალმზრდელო მუშაობაში შეიხიშნება ნაკლოვანებები.

აღმზრდელები ძირითადად სწორად ადგენენ მეთოხედურ გეგმებს, მათში, შეტანილი საკითხები სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს ისახავს მიზნად, მაგრამ აღსაზრდელთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის მხოლოდ საუბრებია გათვალისწინებული. სამწუხაროდ, VIII—X კლასის მოსწავლეებში კომუნისტური მრწამსის გამომუშავებისათვის არ მიმართავენ დისპუტებს, არ აწყობენ შეხვედრებს სამამულო ომის ვეტერანებთან, შოოძის გმირებთან, ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებთან, ექსკურსიებს ფაბრიკა-ქარხნებში, პრაქტიკაში არ არის დანერგილი თვით აღსაზრდელთა მოხსენებები მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების შესახებ, სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე აღსაზრდელთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებსაც. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საალმზრდელო გეგმებში ვერდი აქვს ავლილი კოლექტიურ სალებს კინოთეატრებში.

აღმზრდელთა მუშაობის ერთ-ერთ არსებით ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აღსაზრდელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროებას; აღმზრდელთა დღიურებიდან არ ჩანს, კონკრეტულად ესა თუ ის აღსაზრდელი რომელ საგანში ჩამორჩება და როგორ დახმარებას საჭიროებს. აღმზრდელებისა და შესაბამისი საგნის მასწავლებლისაგან. სამუშაო გეგმაში საკითხების გასწვრივ არ ჩანს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი მის შესრულებაზე და როდის უნდა შესრულდეს ისინი. ყოველდღიური გეგმები არ ემთხვევა მეოთხედურს, ხშირად გეგმები ტრაფარეტულია და სხვა.

დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება მეოთხედებში კლასების მიხედვით. III მეოთხედის ბოლოს № 1 სკოლა-ინტერნატში ასწრებდა აღსაზრდელთა 80%, კიდევ უფრო დაბალი იყო I და II მეოთხედებში. აღსაზრდელთა აკადემიური ჩამორჩენილობა განპირობებულია იმით, რომ ორივე ინტერნატის ადმინისტრაცია სათანადო ხელმძღვანელობას, დახმარებასა და კონტროლს ვერ ახორციელებს აღმზრდელებსა და საგნის მასწავლებლებზე. აკადემიური წარმატების ამაღლების საქმეში არასაკმაო კონტაქტია აღმზრდელებსა და საგნის მასწავლებლებს შორის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია № 1 სკოლა-ინტერნატის VIII², IX² და № 2 სკოლა-ინტერნატის V, VII კლასები (აღმზრდელები. ვ. ჭალელიშვილი, ნ. ქისტიშვილი, ტ. გორდელაძე, გ, გაბუნია, დ. გუბელაძე), სადაც ჩამორჩება აღსაზრდელთა დიდი რაოდენობა.

აღსაზრდელთა ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ სკოლა-ინტერნატებში არასწორად არის ორგანიზებული თვითმომზადება. აღმზრდელები არ იცნობენ ცალკეული საგნის სწავლების მეთოდებს, არ ესწრებიან მოსწავლეებს გაკვეთილებზე და არ ატარებენ საკმაო ღონისძიებებს აღსაზრდელთა ჩამორჩენილობის აღიკვიდაციოდ.

დღის რეჟიმი ორივე ინტერნატში შედგენილია ტიპური რეჟიმის მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი კომპონენტი დარღვეულია სპეციფიკის გათვალისწინებისა და სპორტული ბაზების უქონლობის გამო. ასე მაგალითად, ორივე ინტერნატში დარღვეულია გაკვეთილების ცხრილის შედგენის მეთოდური მხარე, მოსწავლეები კვირის ყოველ დღეს არ არიან თანაბრად დატვირთულნი. № 1 სკოლა-ინტერნატში კვირაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნებით ისინი დატვირთული არიან 3 დღეს 7 გაკვეთილით, ხოლო 3 დღეს—4 გაკვეთილით, მე-2

სკოლა-ინტერნატში სწავლა იწყება 7 საათზე და, ადგილობრივი სპორტული ბაზების უქონლობის გამო, აღსაზრდელთა კვება სადილზე მიმდინარეობს რამდენიმე ცვლად, თითქმის სამი საათის განმავლობაში, რაც არღვევს დღის რეჟიმს და უარყოფითად მოქმედებს აღსაზრდელთა სწავლასა და ზრდა-განვითარებაზე.

№ 1 სპორტულ სკოლა-ინტერნატში მეთოდურად არასწორადაა დაყენებული საალმზრდელო ჟურნალების აღრიცხვის საქმე. ორ აღმზრდელიან ჯგუფში ორ-ორი საალმზრდელო ჟურნალია შემოღებული: ერთი—დღის ცვლაში მომუშავე, ხოლო მეორე—დღის მეორე ნახევარში მომუშავე აღმზრდელებისათვის. ერთ ჯგუფში ორი საალმზრდელო ჟურნალის არსებობა ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან საალმზრდელო ჟურნალი—ეს არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სრულყოფილად უნდა ასახავდეს ჯგუფთან გაწეულ მუშაობას ორივე აღმზრდელის მიერ მთელი სასწავლო წლის მანძილზე, ვფიქრობთ, ამითაც აიხს გაპირობებული დაბალი აკადემიური დონე. როგორც ვხედავთ, დღის მეორე ნახევარში მომუშავე აღმზრდელმა არ იცის, დღის პირველ ნახევარში რა მუშაობა ჩატარდა, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით და ერთგვარი ანალიზის შემდეგ წარმართოს შემდგომი მუშაობა ჯგუფში.

სამედიცინო მომსახურება ორივე ინტერნატში დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შეინიშნება ზოგიერთი ნაკლოვანებანი. კერძოდ: № 1 სკოლა-ინტერნატში დიეტ-ექთნები ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას. ისინი ყურადღებას ვერ აქცევენ მათზე გაპიროვნებულ სასადილოს და კონტროლს არ ამყარებენ იქ მომუშავე პერსონალის სანიტ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე. რეგულარულად არ წარმოებს სადილის ვიტამინიზაცია. კვების ბლოკში მომუშავე პერსონალს წესრიგში არ აქვს სანიტარული წიგნაკები.

№ 1 და № 2 სკოლა-ინტერნატებში ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლებაში არსებული დაბალი დონე გამოწვეულია იმითაც, რომ ცალკეული საგნების მასწავლებლები თავს არიდებენ მეთოდური დახელოვნების საქმეს. ამ მხრივ ინტერნატების ხელმძღვანელობა მკაცრ კონტროლს არ ახორციელებს მათზე. მაგ. ორივე ინტერნატის 110 მასწავლებლიდან და აღმზრდელიდან დახელოვნების კურსები გავლილი აქვს მხოლოდ 24-ს, ხოლო ამჟამად განათლების სამინისტროში არ არის წარმოდგენილი განაცხადი, თუ რა საგნის რამდენი მასწავლებელი გასცლის ძიძინარე სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა დახელოვნების კურსებს.

სკოლა-ინტერნატების წლიური სამუშაო გეგმები ძირითადად სწორად არის შედგენილი, მაგრამ მას თან არ ერთვის შესაბამისი ნაწილი, რომელშიაც მოცემული იქნებოდა გასული სასწავლო წლის შედეგების ძოკლე ანალიზი, სამუშაო გეგმაში № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატის დირექციას გაუთვალისწინებიათ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: „სასწავლო დისციპლინაში სასწავლო პროგრამების შესრულების შემოწმება, მათი სწავლების მდგომარეობა და შედეგების გახილვა პედ. საბჭოს სხდომაზე, მიღწევა იმისა, რომ გაკვეთილი ტარდებოდეს მაღალ იდეურ, მეცნიერულ დონეზე“, „ღონისძიებათა გატარება სწავლებაში თვალსაჩინოების მაქსიმალურად გამოყენებისათვის“. „მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებისა და საგნობრივი წრეების მუშაობის შემოწმება და შედეგების განხილვა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (სასწავლო წელში 4-ჯერ), „აღმზრდელთა მიერ აღსაზრდელთა თვითმოქმედების ორგანიზებულად ჩატარების შემოწმება (მეოთხედში 4 აღმზრდელის) და საჭიროა ღონისძიებათა გატარება“ და ა. შ. მაგრამ, როგორც ზემომოყვანილი კონკრეტული მაგალითებიდან ჩანს, წლიური გეგმით გათვალისწინებული საკითხების ცალკეულად ოფიციალურად გატარების საქმეში სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელებს, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მასწავლებლებსა და აღმზრდელებს გააჩნიათ ნაკლოვანებანი. კერძოდ, აღსაზრდელთა რა მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ძალზე დაბალ დონეზე ისწავლება მთელი რიგი საგნები. ან რა ძეიძლება ითქვას სწავლების პროცესში თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე, როდესაც შემოწმების დღეებში თითქმის არცერთ მასწავლებელს არ გამოუყენებია ისინი. აღსაზრდელთა აბსოლუტური მოსწრებაა ორივე იხტეონატში მეოთხედების მიხედვით დაბალია (III მეოთხედის—80%), მაგრამ ისიც კი ლიბერალურია. როგორც გაკვეთილებზე დასწრებით და ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგებით (იხ. დანართი № 1) კარგად ჩანს, მთელი რიგი მასწავლებლების სუსტი მუშაობის გამო მოწავლეთა ოფიციალური ცოდნა ამ შეესაბამება მეოთხედებში მათი აკადემიური წარმატების ფაქტიურ მაჩვენებლებს. ამიტომ, წლიურ სამუშაო გეგმაში შეტანილია საკითხები ფორმალურად და მათი შესრულება არ ხორციელდება.

ფიზიკური მომზადებისა და სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის გლდანის № 1 და № 2 სპორტული პროფილის სკოლა-იხტეონატებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული:

—№ 1 სკოლა-ინტერნატში მუშაობს 27 სასწავლო-სპორტული ჯგუფი. მძლეოსნობის 31, ფეხბურთის 7, კლასიკური ჭიდაობის 5 და ველოსპორტის 4 ჯგუფი. მოსწავლე-სპორტსმენთა სპორტული დასტატების საქმეს ეხსახურება 16 მწვრთნელ-მასწავლებელი, მათ შორის 14 უმაღლესი განათლებით, ხოლო 2—საშუალო სპეციალური განათლებით.

— № 2 სკოლა-ინტერნატში მუშაობს 33 სასწავლო-სპორტული ჯგუფი. სპორტული ტანვარჯიშის 13, ჩოგბურთის 11, ცურვის 5 და ფარიკაობის 4 ჯგუფი. ჯგუფებთან მუშაობს სკოლის 16 მწვრთნელ-მასწავლებელი, რომელთაგან 13 უმაღლესი სპეციალური განათლებითაა, ხოლო დანარჩენი 6 სპორტის ოსტატები და სხვადასხვა ინსტიტუტის სტუდენტები არიან.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ორივე სკოლა-ინტერნატში მომზადებულია 1 სპორტის ოსტატი, 4—სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 38—I თანრიგოსანი და 465—II და მოზარდთა თანრიგოსანი სპორტსმენი.

ერთგვარი წინსვლა შეიმჩნევა სპორტული რეზერვების მომზადებაში. მაგალითად, თუ 1972/73 სასწავლო წელს სპორტის ოსტატის, ოსტატობის კანდიდატისა და I თანრიგის დონეზე სულ მომზადებული იყო 15 მოსწავლე-სპორტსმენი, 1973/74 სასწავლო წელში ეს ოიცხვი 21-მდე გაიზარდა.

მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებისა და მათი სპორტული დოსტატების საქმეს კეთილსინდისიერად ემსახურებიან № 1 სკოლა-ინტერნატის მწვრთნელ-მასწავლებლები ა. ვარდიაშვილი, ვ. მაისურაძე და № 2 სკოლა-ინტერნატის მწვრთნელი გ. ახ-ლაძე, რომელთა აღსაზრდელებს თავიანთი სპორტული შედეგებით არაერთხელ უსახელებიათ რესპუბლიკა საკავშირო არენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: აშენდა მძლეოსნური მანეჟი, ჭიდაობის სპორტული დარბაზი, ჩოგბურთის მოედანები, შენების პროცესშია ტანვარჯიშის დარბაზები და საცურაო აუზი, ჯერ-ჯერობით კვლავ მწვავედ იგრძნობა სპორტული ბაზების, თანამედროვე სრულყოფილი სპორტული ნაგებობების ნაკლებობა. ისინი არ პასუხობენ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სპორტული ბაზების სიმცირის გამო ინტერნატების ხელმძღვანელობა იძულებულია მოსწავლეთა სავარჯიშოდ იჯარით იქირაოს ქ. თბილისის ცურვისა და ტანვარჯიშის სპორტული ბაზები, ამას ისიც ემატება,

რომ იჯარით აღებულ ბაზებზე მოსწავლეები გადაჰყავთ დაქირავებული ავტობუსებით, რისთვისაც უამრავი თანხა იხარჯება. გასულ სასწავლო წელს სკოლა-ინტერნატებმა სხვადასხვა ორგანიზაცია-უწყებებს იჯარის სახით გადაუხადეს 12 ათასზე მეტი მანეთი.

აღსანიშნავია, რომ სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე არსებული ბაზები მოუვლელია. არასათანადოდ იყენებენ მოსწავლე-ახალგაზრდობის შესაძლებლობებს მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოსაწყობად. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ სკოლა-ინტერნატებზე გაპიროვნებული საშეფო ორგანიზაციები (№ 1 ინტერნატზე—თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა და № 2 ინტერნატზე—კიროვის სახელობის ჩარხმშენე ელი ქარხანა) არავითარ დახმარებას არ უწევენ სკოლა-ინტერნატებს სპორტული ბაზების მოწყობის საქმეში.

სავარჯიშო ადგილის უქონლობის გამო, ზამთრის პერიოდში, არანორმალურ პირობებში უხდებათ მუშაობა ფეხბურთის, ველოსპორტისა და ჩოგბურთის სპორტულ ჯგუფებს, არასაკმარისი რაოდენობით გააჩნიათ ხარისხიანი სპორტული ინვენტარი—ბურთები, ველომანქანები, ველო-დაზგები, ტანვარჯიშული იარაღები, რაპირები, ელექტროიარაღები და სამკერდეები ფარიკაობაში და სხვა.

სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია მოსწავლე-სპორტსმენთა სპორტული დაოსტატების საქმეში. სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა საქმიანობა დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად.

სკოლა-ინტერნატებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმები. მაგალითად, უკანასკნელ ორ წელიწადში 600 მოსწავლიდან მომზადებულია მხოლოდ 30 მაღალთანრიგოსანი მოსწავლე-სპორტსმენი. ასევე არადამაკმაყოფილებელია დაბალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადების საქმეც.

დაბალია სკოლა-ინტერნატებში ჩასარიცხ მოსწავლეთა მისაღები სპორტული ნორმატივები. ხლების განმავლობაში სკოლა-ინტერნატები კომპლექტდება უპერსპექტივო, დაბალი ფიზიკური მომზადების მოსწავლეებით, რის გამოც არ სრულდება დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

№ 1 სკოლა-ინტერნატის 329 მოსწავლიდან სპორტული თანრიგი აქვს მხოლოდ 124 მოსწავლეს, ხოლო № 2 სკოლა-ინტერნატის 235 მოსწავლიდან 166-ია თანრიგოსანი. უკანასკნელი 3 წლის განმავ-

ლობაში სკოლა-ინტერნატებიდან სხვადასხვა მიზეზით განითესა 245 მოსწავლე, მათ შორის 200 მოსწავლე სპორტული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის.

სუსტად კომპლექტდება საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდები სკოლა-ინტერნატებში მომზადებული სპორტსმენებით. მაგალითად, მოსწავლეთა მე-13 საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებში მონაწილეობდა სულ 14 მოსწავლე მაშინ, როცა სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატები ძირითადი დასაყრდენი ბაზა უნდა იყოს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად.

სკოლა-ინტერიატების მწვრთნელ-მასწავლებელთა ერთი ნაწილი დაბალ მეთოდურ დონეზე ატარებს მეცადინეობებს, არასწორად შეაქვს დამუშავებული მასალა საკლასო ჟურნალებში, არ იყენებს მოსწავლე-სპორტსმენთა ფიზიკური მომზადებისა და წვრთნის თანამედროვე ფორმებს და მეთოდებს, არ აქვს მოსწავლე-სპორტსმენთა მომზადების პერსპექტიული გეგმები (№ 1 ინტერნატიდან—ი. მიგრიაული. გ. გოზალიშვილი, ყ. საბანაშვილი, ჯ. თევდორაძე, ვ. გვენცაძე და ფ. ჩქარეული; № 2 სკოლა-ინტერნატიდან—ნ. ჩოლარია, ს. კოტორაშვილი, შ. აზარაშვილი, გ. დათაძე და რ. მაჭარაშვილი). მათ მუშაობაში შეინიშნება პრიმიტულობა, არ ზრუნავენ თავიანთ პროფესიულ-დაოსტატებაზე, მეცნიერულად დასაბუთებული გზებით აღმოფხვრან ჩამორჩენა.

დაბალია მწვრთნელ-მასწავლებელთა მიერ აღებული თვითვალდებულებანი სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებისათვის ტანვარჯიშში. განყოფილების ჯგუფების მოსწავლეთა სპორტული შედეგები ჩვეულებრივი რიგითი სპორტული სკოლის მოთხოვნებისაც ვერ აკმაყოფილებს; თავიანთი სპორტული მონაცემებით შეუფერებელია № 1 სკოლა-ინტერნატის მწვრთნელების ი. მიგრიაულისა და გ. გოზალიშვილის მძლეოსნობის ჯგუფებში რამდენიმე მოსწავლის ყოფნა, ხოლო ამავე სკოლის მწვრთნელის ჯ. თევდორაძის მძლეოსნობის ჯგუფში მხოლოდ ორ მეათეკლასელ მოსწავლეს შეუძლია აჩვენოს III თანრიგის შედეგი მაშინ, როცა ისინი სკოლას მოზრდილთა II თანრიგით უნდა ამთავრებდნენ,

სკოლა-ინტერნატების დირექტორის მოადგილეები სპორტული მუშაობის დარგში (ამბ. ყ. სამანიშვილი და დ. კინწურაშვილი) არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას, პრინციპულობას. შემრიგებლობას იჩენენ იმ მწვრთნელ-მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც არადამაკმა-

ყოფილებლად მუშაობენ. სისტემატურად არ აანალიზებენ სპორტის ცალკეულ სახეობათა განვითარების საკითხებს. ღრმად ვერ წვდებიან არსებულ მდგომარეობას, არ უდგანან სათავეში მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს არასაკმაოდ აკონტროლებენ მათ ყოველდღიურ საქმიანობას, არ ზრუნავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

№ 1 და № 2 სკოლა-ინტერნატების დირექტორებს (№ 1 სკოლა-ინტერნატის ყოფილი დირექტორი ამხ. ვ. ჩინჩალაძე, № 2 — ა. წერეთელი), მათ მოადგილეებს სასწავლო-მუშაობის დარგში მ. ქარსელაძესა და ე. მელაძეს საკმაო რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები, გაკეთებული ანალიზებიც ძირითადად დამაკმაყოფილებელია. გაკეთებული აქვთ სწორი შენიშვნები, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში ვერ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობასა და პრინციპულობას. უფრო მეტიც, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხილული არ არის ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის საკითხი, ხოლო მეოთხედურ ანგარიშებში ღრმად და საფუძვლიანად არ არის გაანალიზებული როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების, ისე აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლდანის № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატში ჩატარებული საკონტროლო წერების შედეგები

№	მასწავლებლის გვარი, სახელი, მამის სახელი	ბინა	საგნის დასახელება	კლასების დასახელება	რამდენმა მოსწავლემ	რამდენმა	შეფასდა „5“	„4“	„3“	„2“	„1“	%	შენიშვნა
1	გ. გაეაშელი	№ 1	ფიზიკა	VIII²	23	23	—	—	1	—	22	4,5%	
2	„	№ 1	„	IX¹	35	35	—	—	16	14	5	46%	
3	ვ. ჭყოიძე	„	მათემატიკა	X¹	28	27	—	—	—	7	20	0%	
4	ლ. ბაფეროვა	№ 2	„	VIII კლ.	23	23	—	—	4	7	12	22%	
5	ალ. ხერციძე	№ 1	ქართ. ლიტ.	X¹	11	11	—	—	9	2	—	81%	
6	ვ. ბეიტრიშვილი	№ 1	„	X²	17	17	—	—	13	4	—	76%	
7	ა. კუკულავა	№ 1	ქიმია	X²	18	13	—	—	7	6	—	54%	

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

1975 წლის 26 აგვისტოს ბრძანება № 9—495/447/ 602

სოფლის იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, რომლებშიც უფროსკლასელთა ავტოსაქმისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე ბუშაობის სწავლება ტარდება

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილებით—„სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გათვალისწინებულია 1976—1980წლებში, დამატებით, 420 სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლისათვის ავტოსაქმის, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწავლების შემოღება არსებული დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ამ ღონისძიებათა შესასრულებლად, ამჟამად, სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილის უფროსკლასელები ეუფლებიან ავტომობილებზე, ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობას. სკოლებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სწავლების დამატებითი შემოღებით მათი რიცხვი 839-ს მიაღწევს და 7000-მდე უფროსკლასელს მოიცავს.

მოსწავლეებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესწავლის კურსს დამტკიცებული პროგრამით, ეძლევათ შესაბამისი მოწმობა და უფლება ენიჭებათ,ჩააბარონ საკვა-

ლიფიკაციო გამოცდა დადგენილი წესის მიხედვით, ხოლო მათ, რომ-
ლებიც ავტოსაქმეს შეისწავლიან, მძღოლის მოწმობა ეძლევათ.

სასწავლო პროგრამის წარმატებით გავლისა და მოსწავლეების აუცილებელი ცოდნითა და უნარით აღჭურვისათვის აღნიშნულ სკოლებში უნდა შეიქმნას ავტოსაქმის ან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სასწავლო მოწყობილობის აუცილებელი რაოდენობით, სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1974 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად..

მაგრამ, როგორც ადგილებზე ჩატარებული შემოწმება, სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელების მრავალრიცხოვანი წერილები გვიჩვენებენ, ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია. ზოგან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ადგილობრივი განყოფილებები პრაქტიკულ დამარებას არ უწევენ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მოსწავლე ახალგაზრდობის საწარმოო სწავლების ორგანიზაციასა და ამ სკოლებში საჭირო სასწავლო-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

არის სკოლებისადმი სასწავლო მიზნებისათვის ჩამოწერილი, მაგრამ ტექნიკურად გამართული ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგრეგატების, კვანძებისა და მანქანათა ნაწილების, აგრეთვე სათადარიგო ნაწილების გადაცემაზე, აკუმულატორების, ტექნიკის შეკეთებისა და საექსპლოატაციო საჭიროებისათვის საწვავ-საცხი მასალების გამოყოფაზე უარის თქმის ფაქტები.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლების ხელმძღვანელები არ იჩენენ საჭირო სიმტკიცეს ამ საკითხების კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ გაერთიანებებთან ერთად გადაწყვეტის საქმეში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქსოფლტექნიკის“ საკავშირო გაერთიანების, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 20 ივნისის № 287/150/20 ბრძანების შესასრულებლად და ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად სოფლის საშუალო

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საჭირო სასწავლო-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, სადაც უფროსკლასელთა ავტოსაქმისა და ტრაქტორზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე სწავლებაა შეფასებული,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრებმა და განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის" რაიონულმა გაერთიანებებმა, სახალხო განათლების განყოფილებებმა მიიღონ ქმედითი ზომები სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ავტომობილზე, ტრაქტორებსა, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობისათვის უფროსკლასელთა კვალიფიკაციური მომზადებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის" რაიონულმა გაერთიანებებმა:

ა) განახორციელონ სახალხო განათლების ორგანოების განაცხადების მიხედვით სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის წარმოებაში გამოუყენებელი, მაგრამ სასწავლო მიზნებისათვის ვარგისი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორების, აგრეთვე ჩამოწერილი ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების, მანქანათა დეტალების უსასყიდლოდ გადაცემა იმ ნომენკლატურითა და რაოდენობით, რომელიც დანართშია მოცემული.

სკოლებზე აღნიშნული სასწავლო ტექნიკური საშუალებების გადაცემა შესაბამისი აქტებით უნდა გაფორმდეს;

ბ) გამოუყონ, სახალხო განათლების ორგანოების განაცხადების მიხედვით, ტექნიკის რემონტისათვის სათადარიგო ნაწილები ავტომობილებისათვის, ტრაქტორებისათვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მანქანებისათვის „საქსოფლტექნიკის" სისტემის ორგანიზაციების მიერ მოძიებარებელთა მომარაგების წესების შესაბამისად.

დაუშვან სკოლებზე, დადგენილი წესით, სასწავლო და ექსპლოატაციის საჭიროებისათვის. აკუმულატორები და ხელსაწყოები, იმ ნაწილ-მენკლატურებთა და რაოდენობით, რომელიც სკოლის საჭიროებას აღემატებოდეს, მაყოფილებს.

ჩაატარონ სკოლებზე გადაცემული ტექნიკის მიმდინარე კაპიტალური შეკეთება და ტექნიკური ძომსახურება.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებსა და „საქსოფლტექნიკის" რაიონულ გაერთიანებებთან ერთად, 1975 წლის 1 ოქტომბრამდე შეამოწმონ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და ტექნიკით უზრუნველყოფა, რომლებშიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილებით, უფროსკლასელთა ავტოსაქმის, ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის სწავლებაა შემოღებული, 1975/76 წლებში შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

შეთანხმებული ღონისძიებანი წარუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 26 ოქტომბრამდე.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განყოფილების სამმართველოსა (ამხ, კ. ბაქრაძე) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის" რესპუბლიკური გაერთიანების კადრების განყოფილებასთან (ამხ. ვ. მუშკუდიანი) ერთად, 1965 წლის 1 ოქტომბრამდე შეამოწმონ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და ტექნიკით უზრუნველყოფა, უფროსკლასელთა ავტოსაქმის, ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის სწავლებაა შემოღებული; 1975—1976 წლებში შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

შეთანხმებული ღონისძიებანი წარუდგინონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 1 ნოემბრამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სოფლის ძეურნეობის მინისტრი

ნ. ჯითანავა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თოვმჯდომარე

დ. სარიშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა“ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 26 აგვისტოს № 2—495/447/602 ბრძანების დანართი

ნ უ ს ხ ა

ექსპლუატაციაში ნამყოფი, მაგრამ სასწავლო მიზნებისათვის ვარგისი აგრეგატების, იარაღების, მანქანებისა და ტექნიკის ხელსაწყოებსა და კვანძებისა, რომლებიც უნდა გადაეცეს სასწავლო კაბინეტების აღჭურვისათვის სოფლის იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სადაც უფროსკლასელთა ავტოსაქმის, ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე მუშაობის სწავლებაა შემოღებული (ამონაწერი სოფლის სკოლებისათვის სასწავლო მოწყობილობის საერთო ნუსხიდან, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ და დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1974 წლის 4 სექტემბერს

№ რიგ.	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	მარკა, ტიპი	რაოდენობა სკოლებზე ცალობით
1	2	3	4
	I. ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესწავლის კაბინეტებისათვის		
1	ძრავები	—	1—2
2	მაღალი წნევის საწვავის ტუმბოები	—	2
3	საწვავის ფილტრები	—	2
4	ზეთის ტუაბოები	—	2
5	ზეთის ცენტროფუტები	—	2

1	2	3	4
6	გადაბმულობის ქუროები	—	1
7	გადაცემათა კოლოფები	—	1
8	ლითერმცილები		1
9	მოხვევის პლანეტარული მექანიზმი		2
10	გენერატორები		2
11	სტარტერები		2
12	აკუმულატორთა ბატარეა		2
13	ფრქვევანები		8
14	რელე-გენერატორები		2
15	საკიდი გუთნები		1
26	საკიდი კულტივატორები		1
17	საკიდი სათესელები		1
18	თვითმავალი კომბაინის ცალკეული კვანძები და მექანიზმები		1
16	საწველი აპარატები, 3 ტაქტიანი		2
20	საწველი აპარატები, 2 ტაქტიანი		2
21	თვითმავალი მარცვალსაღები კომბაინები		1
	ტრაქტორებისა და კომბაინების ძოუდძარა		
22	ბარბაცა და გამანაწილებელი მექანიზმები		2
23	ელექტრული ძრავები		4
24	ვაკუუმ-ტუმბო		1
25	წყლის ცენტრალური ტუმბო		2
26	დასატვიფრი ჩანგლები	ლე-2 ან წუ-3	1
27	ტახომეტრები	30	1
28	ხელსაწყოები ელექტროლიტის სიმკვრივის განსაზღვრისათვის	გცსთ 885-66	1
29	დინამომეტრული გასაღებები	ბა-4-01-00	1
30	მიკრომეტრები	0-25	1

1	2	3	4
31	კომპრესორები	8-48 ან კ 861	1
32	მ.ნომეტრები სალტის	მდ-2 5	1
33	მაქსიმეტრები	კპ-1:0 ფა	1
34	გირაგები პარალელური	გოსტ-4045-57	1
35	იარაღების „დიდი ნაკრები“	პინ-1514	6
36	შტანგენფარგლები	0-200-შპ-შ	1
37	კუთხეილმზომი	მანდ	2
38	ცეცები № 3, № 5	გოსტ-8826-66	2
39	სახაზავები—ლითონის 5 მმ	გოსტ-427-46	1
40	ინდიკატორები	50-100 100-160	2
	II. ავტოსაქმის კაბინეტებისათვის		
1	ავტომობილის ძრავები	გაზ ზილ	1-2
2	წინა ხიდები, საჭირო მექანიზმით	გაზ	1
3	წინა წამყვანი ხიდები	„	1
4	უკანა ხიდები	„	1
5	უკანა ხიდები	ზილ	1
6	სიჩქარის გადამცემი კოლოფები	გაზ	1
7	კარდანული გადაცემები	„	1
8	მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმების დეტალები	„	1
9	კვების სისტემის ხელსაწყოები	„	1
10	კარბურატორები	„	1
11	გაგრილების სისტემის ხელსაწყოები	„	3
12	შეზეთვის სისტემის ხელსაწყოები და დეტალები	„	1
13	ელექტრომოწყობილობისა და ანთების ხელსაწყოები	„	1
14	ხელსაწყოთა ფარები	„	1
15	ჰიდრავლიკურ ამძრავიანი მუხრუჭების სისტემის ხელსაწყოები და დეტალები	„	1
16	პნევმატური ამძრავის მუხრუჭების სისტემის ხელსაწყოები და დეტალები	ზილ	1

1	2	3	4
17	სალტეები აწყობილი	-გაზ	
18	საველე ნაწილისა და საკიდის დეტალები	»	1
19	კომპრესიომეტრები	—	1
20	ცეცები სანთელში (ლრეჩრების შესამოწმებლად)	—	1
21	დინამომეტრული გასაღები	—	1
22	ლუფტმზომები	—	1
83	სახაზავები გადაბმულობისა და სამუხრუჭო სისტემების თავისუფალი სვლის გასაზომად	—	1
24	სახაზავები თვლების შეყრის შესამოწმებლად	—	1

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საქინისტროს საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს უფროსი

ჯ. გაბუნია

მანქანების მოწყობილობათა და საწარმოო დანიშნულების საკონლის მოქარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი

ზ. ქოდუა

საქართველოს სსრ განათლების საქინისტროს მოქარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს უფროსი

ბ. კბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება № 788

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 27/VI № 628 ბრძანების—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მიმდინარეობისა და 1974 წლის 4/XI № 971 ბრძანების—სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მაადგილების ნორმირების შესახებ—შესრულების შეჯამების შედეგებზე ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ზუგდიდის, ბორჯომის, ხაშურის, გარდაბნის, გეგეჭკორის, თელავისა და ზუგდიდის რაიონებში

აღვნიშნავ, რომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და და სსრკ მინისტრთა საბჭოს დირექტივების შესაბამისად, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებულად შეხვედრის უზრუნველსაყოფად. ზაფხულის პერიოდში ერთდროულად მიმდინარეობდა აღნიშნული ღონისძიებები, რის შედეგად გაკეთებულ ბავშვთა დიდი ნაწილი კეთილმოწყობილ სკოლამდელ დაწესებულებებში შეხვდა ახალ სასწავლო წელს.

საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მამდინარეობა შემოწმდა ბორჯომის, ხაშურის, გარდაბნის, ყვარლის 26 სკოლამდელ დაწესებულებაში, ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნა—ქ ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ზუგდიდის, თელავის, გარდაბნის, გეგეჭკორის რაიონების 59 სკოლამდელ დაწესებულებაში.

საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელებას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ქ. თბილისის № 28, სოხუმის № 11 სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის № 8, ქუთაისის № 16, გორის ბამბეულის კომბინატის № 2 საბავშვო ბაღები (გამგეები ვ. ჟორდანია, დ. ტამბია, თ. ჩერმენკო, ეთ. თუმანიშვილი, დ. კაპანაძე). აღნიშნულ სკო-

ლამდელ დაწესებულებებში ორგანიზებულად წარიმართა მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას, ბავშვთა გაკაჟებას, მათ გონებრივ განვითარებას, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. ქ. ქუთაისის № 16, მცხეთის № 5, ფოთის № 1 საბავშვო ბაღების აღმზრდელები მ. ქობულაძე, ლ. თათარაშვილი, ლ. ყუფარაძე კარგად იცნობენ გამაკაჟებელი ღონისძიების სპეციფიკას. ისინი მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან ბავშვთა განვითარებისა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ადგილობრივი ორგანოების დახმარებით აგარაკებზე გასულ სკოლამდელ დაწესებულებათა ერთ ნაწილს წინა წლებთან შედარებით უკეთესი ბინები ჰქონდა დაქირავებული. თითქმის ყველა შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებაში კარგად იყო მოწესრიგებული ბავშვთა დღის ძილი. მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ, ცხაკაიას № 2 ბაგა-ბაღებსა და ცხაკაიას №№ 2, 5 საბავშვო ბაღებს (გამგეები ვ. გოიაძე, თ. თურქია, ე. ნაროუშვილი, თ. როგავა), რომლებიც მოთავსებული იყვნენ სკოლის შენობებში, ფაქიზად ჰქონდათ მოწყობილი გარემო.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 4/XI № 931 ბრძანების—ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შესახებ—შესასრულებლად.

საბავშვო ბაღების მეტი ნაწილი დროულად დაკომპლექტდა ასაკობრივი ჯგუფებით პედაგოგიური პერსონალის ვაკანტური ადგილები შეივსო სპეციალისტებით. სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობას ჩაუტარდა კაპიტალური, მიმდინარე რემონტი, რეკონსტრუქცია. ამ საქმეში მათ გარკვეული დახმარება გაუწიეს საშეფო ორგანიზაციებმა: ქ. თბილისის № 14 საბავშვო ბაღს—დამზადების სამინისტრომ (შ. ჭანუყვაძე), № 2 საბავშვო ბაღს—მესამე სამშენებლო ტრესტის № 2 სამმართველომ (ი. კალანდარიშვილი), № 69 საბავშვო ბაღს—ლიფტების სამმართველომ (რ. კოტრიკაძე), № 28 ბაგა-ბაღს—„თბილრიბორმა“ (რ. ცაგარეიშვილი), თელავის № 3 ბაგა-ბაღს—ტრესტ „ალაზანიშენის“ პირველმა სიმმართველომ (გ. წერეთელი, ნ. გვარამაძე) და სხვები.

როგორც საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების, ასევე ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში, დადებითთან ერთად, შეინიშნებოდა სერიოზული ნაკლოვანებანი.

ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში საგარაკოდ გასული არც

ერთი სკოლამდელი დაწესებულება არ გატარებულა რეგისტრაციაში აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებებში, რაც იმაზე მეტ უთითებს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ, სკოლამდელი აღზრდის ადგილობრივმა მეთოდკაბინეტმა (მეთოდსტმა) დროულად ვერ გააცნო სკოლამდელ დაწესებულებებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 26/VI № 628 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების შეუსრულებლობის გამო აგარაკზე ზოგიერთი სკოლამდელ ი დაწესებულების ადგილსამყოფელის დადგენა მეტად რთული აღმოჩნდა.

ზოგან სათანადო ყურადღება არ მიექცა ზემდგომი ორგანოების დადგენილებების—კუჭნაწლავთა მწვანე დაავადებების თავიდან აცილებისათვის საჭირო პროფილაქტიკური ღონიძიებების გატარებას: ქ. თბილისის № 24 ბაგა-ბაღში, აფხაზეთის ასსრ კოჩარის ჩაის საბჭომეურნეობის სბავშვო ბაღში უხარისხოდ ირეცხებოდა ჭურჭელი—არ იყენებდნენ სადეზინფექციო საშუალებას მაშინ, როდესაც არც ერთ სკოლამდელ დაწესებულებას არ ჰქონდა გამდინარე ცხელი წყალი.

ნაკლოვანებანი შეისიშნებოდა სამედიცინო პერსონალის მუშაობაში. ჩვეულებრივად არ ტარდებოდა ბავშვთა ღრმა სამედიცინო შემოწმება (დადგენილია მისი წელიწადში ორჯერ ჩატარება), ზოგან ადგილი ჰქონდა კურიოზულ შემთხვევას, მაგალითად, კასპის ცემენტის ქარხნის სბავშვო ბაღის აღსაზრდელები აგარაკზე გაჰყავდათ სამედიცინო შემოწმების გარეშე: ამ სბავშვო ბაღის 34 აღსაზრდელიდან, ფორმა № 26-ის შესაბამისად, 1969—71 წლების შემდეგ სამედიცინო შემოწმებაზე არ გატარებულა 10 ბავშვი; 1972 წლიდან—6; 1973 წლიდან—8; 1974 წლიდან—9; 1975 წელს გატარებულია მხოლოდ 1 ბავშვი. ანალოგიური მდგომარეობაა ხაშურის № 1 სბავშვო ბაღში. 1972 წლიდან სამედიცინო შემოწმებაზე არ გატარებულა 15 ბავშვი. 1973 წლიდან—21, 1974 წლიდან—30, 1975 წელს კი გატარდა მხოლოდ 16 ბავშვი.

სამედიცინო დოკუმენტაცია მოუწესრიგებელი იყო ყვარლის რაიონის სბავშვო ბაღებშიც. აფხაზეთის ასსრ კოჩარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სბავშვო ბაღში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ავადმყოფ ბავშვთა დროულ იზოლირებას. შემოწმების დროს ამ სბავშვო ბაღში აღსაზრდელი ნ. ქარდავა 38,2° ტემპერატურით საერთო საძინებელში იწვა, ასეთივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა ყვარლის № 1 სბავშკო ბაღში (გამგე ა. ზაუტაშვილი). ქ. თბილისის № 24 სბავშვო ბაღის ექიმი ნ. კალიტოვა, ექთანი ე.

აბაშიძე, კოჩარის ჩაის საბითოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის ექთანი ნ. ქვათაძე ვერ იცავდნენ სანიტარულ ნიმუშებს. არაესთეტიკურად და სანიტარული წესების დარღვევით ხდებოდა ბავშვებისათვის საჭმელის მიწოდება.

გამაჯანსაღებელ პერიოდში, ზოგან, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ბავშვთა გაძლიერებულ კვებას—აფხაზეთის ასსრ ბოკვინთისა და ზოგიერთ სხვა საბავშვო ბაღს, რომლებიც ადგილზე გამჯანსაღებელ ღონისძიებებზე იყვნენ გადასული, კვებისათვის არ ეძლეოდათ დამატებითი 6 კაპიკი დღეში თითოეულ ბავშვზე. ამ საბავშვო ბაღებში მოუწესრიგებელი იყო თანამშრომელთა კვების საქმეც. დღის რეჟიმის დარღვევის ფაქტებს ადგილი ჰქონდა ყვარლის № 1 საბავშვო ბაღში. ყვარლის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებს აგარაკზე სულ არ ჰქონდათ გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის დამტკიცებული გეგმა (ბიუჯეტი).

საყურადღებოა, რომ ქ. თბილისის № 9 ბაგა-ბაღმა (გამგე ვ. კუპრეიშვილი) თავი ვერ გაართვა აგარაკზე მუშაობას. ბაგა-ბაღის ზოგიერთი მუშაკი სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. გასაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო ბაგის 2—3 წლიან ბავშვთა ჯგუფში (აღმზრდელი მ. მელაძე). შემოწმების დროს აღსაზრდელები უყურადღებოდ იყვნენ გაფანტული ეზოში და ჭუჭყიანი ნივთებით თამაშობდნენ. ამავე ჯგუფის საძინებელიში ანტისანიტარული მდგომარეობა იყო.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებებში რეგულარულად არ ტარდებოდა გამაკაჟებელი პროცედურები (ჰაერის, მზის აბაზანები, წყლის გადავლება. სველი ტილოთი დაზელვა და სხვ.), ან დანიშნულებით არ იყენებენ ბუნებრივ ფაქტორებს, აგარაკზე გასულ სკოლამდელ დაწესებულებათა მეტ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა აღსაზრდელთა და აღმზრდელთა ჩაცმულობას (თბილისის № 24 ბაგა-ბაღში, ცხაკაიას რაიონის გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი).

ნაკლოვანებას ჰქონდა ადგილი ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 4/XI № 931 ბრძანების შესრულების საქმეში. სამშენებელო ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველყვეს 1975 წლის გეგმით გათვალისწინებულ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის დროულად და ხარისხიანად შესრულება, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 11 სკოლამდელი დაწესებულებიდან ახალი სასწავლო წლისათვის აქსპლოატაცია-

ში შეიდა მხოლოდ 3. მათივე მიზეზით ბევრ საბავშვო ბაღში დაბალ დონეზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. მაგალითად, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის № 5 და № 20 საბავშვო ბაღების გაგეგებმა, რემონტების უხარისხოდ შესრულების გამო, ხელი არ მოუწერეს სამუშაოს შესრულებაზე 26 კომისრის რაიონის სარემონტო კანტორას (უფროსი ვ. გოგშელიძე).

ქ. რუსთავში გათვალისწინებული 9 სკოლამდელი დაწესებულებიდან კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მხოლოდ 5 სკოლამდელ დაწესებულებას, რისთვისაც, ნაცვლად 110590 მანეთისა, აოვისებულ იქნა 31775 მანეთი.

რემონტების დაგვიანების გამო სასწავლო წლის დროულად გახნილება ვერ შეძლეს თბილისის №№ 29,46 საბავშვო ბაღებმა, №№ 72, 2„, 50, 58 ბაგა-ბაღებმა. ქ. რუსთავის №№ 1, 10, 12, 16, 18, 20, 21 სკოლამდელმა დაწესებულებებმა. ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა რაიონსა და ქალაქში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზემოაღნიშნული ბრძანება, რომლითაც ახალი სასწავლო წლის დაწყების ვადად დაწესებულია 1 სექტემბერი, დროულად არ იქნა გაგზავნილი და გაცნობილი, რის გამო ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებებში გეგმით გათვალისწინებული 22014 ბავშვიდან 1 სექტემბერს სკოლამდელ დაწესებულებებში გამოცხადდა მხლოდ 7818 აღსაზრდელი; 87-ე საბავშვო ბაღში (გამგე ი. დავითაშვილი) 100-დან 56 და ა. შ.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი საოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციის საქმეში. № 61 საბავშვო ბაღი მოუწესრიგებელი შეხვდა ახალ სასწავლო წელს, ამ საბავშვო ბაღის გამგეს შ. შველიძეს არასწორად აქვს შედგენილი წლიური სამუშაო გეგმა, არ აქვს დაზუსტებული პედაგოგიურ კოლექტივთან და მშობლებთან მუშაობის საკითხები. აღნიშნული გეგმით ბავშვის სკოლისათვის მომზადება, სკოლისა და საბავშვო ბაღის ერთობლივი მუშაობა, მხოლოდ სკოლაში ექსკურსიების მოწყობით არის განსაზღვრული, გეგეჭკორის რაიონის ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი ახალი სასწავლო წლისათვის არ არის უზრუნველყოფილი ავეჯით, სათამაშოებით, ჭურჭლით და სხვა საჭირო ნივთებით.

ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში სათანადოდ არ არის მოწესრიგებული საბავშვო ბაღის გარეშო, სათამაშო და ბუნების კუთხეები (თბილისის 61-ე საბავშვო ბაღი, მე-60-ე, 61-ე ბაგა-ბაღები).

ახალი სასწავლო წლისათვის კეთილმოუწყობელი დარჩა თბი-

ლისის 36-ე ბაგა-ბაღისა (გამგე დ. დარახველიძე, და № 4 ბაგა-ბაღის (გამგე ნ. ხელაშვილი) ეზოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების სრულყოფის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

—დასახონ ღონისძიებები სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისა და ახალ სასწავლო წლისათვის მზადების შემდგომი სრულყოფისათვის;

—მკაცრი კონტროლი დააწესონ პედაგოგიური პერსონალის მუშაობაზე, ცალკეულ აღმზრდელებში აღმოფხვრან დღემდე არსებული გულგრილობა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება; ავარაკებზე გასაგზავნად საგანგებოდ შეარჩიონ მაღალი კულტურისა და პასუხიმგებლობის მქონე მუშაკები;

—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან ერთად იზრუნონ სკოლმდელი დაწესებულებებისათვის მუდმივი ავარაკების აშენებისათვის.

2. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) შეამოწმოს № 9 ბაგა-ბაღის გამგისა და პედაგოგიური პერსონალის მუშაობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებები.

4. ქ. თბილისის № 9 ბაგა-ბაღის აღმზრდელს მ. მელაძეს, საქმისადმი უპასუხისგებლო დამოკიდებულებისათვის, ‘ბავშვებისადმი უყურადღებობისა და ბაგის ჯგუფში უსუფთაობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს,გააძლიეროს კონტროლი და დახმარება რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა სამედიცინო მომსახურებაზე, იმსჯელოს კასპისა და ხაშურის რაიონების პედიატრების მუშაობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ბავშვთა ღრმა სამედიცინო შემოწმების დროულად ჩატარება, ავარაკებზე გამსვლელი სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველყონ კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით,

5. ეცნობოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის ასსრ კოჩარის, ცხკაიას რაიონის გეჯეთისა და გე-

გეჰკორის რაიონის ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სკოლამდელ დაწესებულებათა სუსტი მუშაობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დიცკის სამინისტროს ყოფილ ლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. ა'დუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება.

მინისტრი თ ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

მასწავლებლის შრომის ორგანიზაციისა და საუშაო დღის რაციონალურად გამოყენების შესახებ

1975 წელი. 13 ნოემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშავენ, რომ „სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისა და მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების რეჟიმის თაობაზე კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და „სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივების ინიციატივის შესახებ“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასწავლებელთა შრომის ორგანიზაციისა და მათი სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების საქმე; შედარებით სრულყოფილ იქნა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა; ამაღლდა მასწავლეთა აკადემიური დონე, პიროვნები მომზადდა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა სკოლებში შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამეურნეო და, პირველ რიგში, სას-

წავლო დროის ნაყოფიერად გამოყენებისათვის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი მართვის სისტემის სრულყოფისათვის; შედარებით გაუმჯობესდა მასწავლებელთა შრომის, ცხოვრებისა და დასვენების საქმე, მათ დიდ ნაწილს ერთი თავისუფალი დღე ეძლევა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თავის თავზე მუშაობისათვის; საგრძნობლად მოწესრიგდა გაკვეთილების ცხრილის შედგენის საქმე. ბევრ სკოლაში გაკვეთილების ცხრილს ადგენენ გონივრულად, პედაგოგიურად გამართულად, რის შედეგად შედარებით შემცირებულია ე. წ. „ფანჯრების" რიცხვი და ამით მასწავლებლებს ნაკლები დრო ეხარჯებათ უქმად; შემცირდა სკოლის მუშაკების, განსაკუთრებით მასწავლებლების, დირექტორების, მათი მოადგილეების პირდაპირი მოვალეობის შესრულებისაგან მოწყვეტის შემთხვევები.

ამასთან ერთად, ზოგან ჯერ კიდევ სრულყოფილად არ სრულდება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო დროის არასწორად გამოყენების ფაქტების შესახებ" სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1968 წ. 19 აგვისტოს № 52 და „სამუშაო დროის რაციონალური, ყაირათიანი გამოყენებისა და მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების რეჟიმის თაობაზე კანონმდებლობათა დარღვევების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 20 აპრილის № 42/05 ბრძანებები, აგრეთვე აქედან გამომდინარე ამ დარგში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ შემდგომში დაშვებული ბრძანებები, დადგენილებანი და მითითებანი.

სკოლებ ის, სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მასწავლებლების შრომის სწორი, რაციონალური ორგანიზაციის საქმეს, მათი სამუშაო დროის სრულად და ნაყოფიერად გამოყენებას, ზოგჯერ დიდი სამუშაო დრო იკარგება სასწავლო პროცესის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის, მისი არასწორი დაგეგმვის შედეგად; ხშირ შემთხვევ ში. მასწავლებლებს სამუშაო დრო უნაყოფოდ ეკარგებათ სასწავლო დატვირთვის არასწორი განაწილების, გაკვეთილების ცხრილის არარაციონალურად შედგენისა და მასში დიდი რაოდენობით ე. წ. „ფანჯრების" დაშვებისა და იმის შედეგად, რომ ერთსა და იმავე მასწავლებლებს სასწავლო დატვირთვა მი-

ცემული აქვთ სხვადასხვა ცვლაში, რაც ზოგჯერ აუცილებლობით და არის გამოწვეული. მაგალითად: თბილისის 132,ე საშუალო სკოლის უცხოური ენის მასწავლებელს დ. იანტბელიძეს ერთ დღეს 4 გაკვეთილი განაწილებული აქვს ორ ცვლაში და ამის შედეგად დაკავებულია I ცვლის დაწყებიდან მეორე ცვლის ბოლომდე; თბილისის 57-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს სასწავლო დატვირთვა—23 საათი გაკვეთილების ცხრილში 6 დღეს აქვს განაწილებული, მათ შორის ოთხშაბათს აქვს მხოლოდ ერთი,ისიც მეექვსე გაკვეთილი.

მასწავლებელთა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების საქმეს ხელს უშლის ის გარემოება, რომ განათლების განყოფილებათა გამგეები, ზოგჯერ, არღვევენ სახელმწიფო კანონს და ვანაგრძობენ მასწავლებლების მცირე საათებზე დანიშვნას, ამას ხშირად ადგილი აქვს მაშინაც კი, როცა სკოლაში მომუშავე მოცემული საგნის მასწავლებლებს ნორმაზე ნაკლები დატვირთვა აქვთ და ამით ხელოვნურად ზრდიან მასწავლებელთა რიცხვს; მაგალითად, თბილისის 152-ე საშუალო სკოლის ქართულ სექტორზე ისტორიის 4 საათზე ახალი მასწავლებელი დაინიშნა მაშინ, როცა ამ საგანში ადგილზე მომუშავე მასწავლებლის დატვირთვა 11 საათს არ აღემატებოდა.

იმის გამო, რომ თბილისის, ქუთაისისა და ქალაქებისა და რაიონების ცენტრების სკოლებში ბევრი მასწავლებელი მცირე დატვირთვაზე და აგრეთვე შეთავსებით მუშაობს, ვერ სრულდება ყველა ის საწავლო-აღმზრდელობითი და საზოგადოებრივი სამუშაო, რასაც სკოლის ყოველდღიური ცხოვრება მოითხოვს.

ზოგან სკოლაში დარღვეულია შეთავსების შეზღუდვის შესახებ მთავრობის დადგენილების მოთხოვნა და სკოლაში, სადაც კი შემთავსებელი მუშაობს, არ გააჩნიათ შეთავსებაზე ორივე დაინტერესებული დაწესებულების ხელმძღვანელისა და პროფკავშირის ადგილკომების თანხმობა.

სკოლებში ადგილი აქვს მასწავლებელთა შორის საზოგადოებრივი დატვირთვის არათანაბარ განაწილებას და ამის შედეგად ზოგიერთი მათგანი ისეა გადატვირთული, რომ თავის თავზე მუშაობისათვის დრო აღარ რჩება.

არის შემთხვევები, როცა მასწავლებლებისა და სკოლების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვენ სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სხვათა შესახებ ისეთი გეგმებისა და ანგარიშების და წერილობითი ცნობების წარმოდგენას, რაც დადგენილი არ არის.

სკოლების, განათლების განყოფილებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, საჭიროების მიუხედავად, არაერთ-ათად სხვადასხვა ხასიათის თათბირებსა და სხდომებს ატარებენ; ზოგ-ჯერ ეს თათბირები მოუმზადებლად ტარდება და ერთმანეთის დუბ-ლირებას წარმოადგენს.

ზოგან პედაგოგიური საბჭოს სხდომები, შინასასკოლო მეთოდურ გაერთიანებათა მეცადინეობა, მშრომელთა კრებები, მოსწავლეთა ორგანიზაციების სხდომები და შეკრებანი, წრეების მეცადინეობა იმა-ზე მეტი სიხშირითა და ხანგრძლივობით ტარდება, ვიდრე ეს არსებული კანონმდებლობით არის დიწესებული; ასე მაგალითად: თ ილისის 23-ე, 30-ე, 43-ე, და სხვა სკოლებში პედაგოგიურ სხდომებს მეოთხედში ერთის ნაცვლად ორჯერ ატარებენ, ხოლ ო მე-18, 27-ე, 114-ე, და სხვა სკოლებში იგი 1974—1975 სასწავლო წელს 12-დან 15-მდე არის ჩატარებული და ისინი 2-დან 4 საა მეტ საათამდე გრძელდებოდა.

ბევრ სკოლაში მასწავლებლების მორიგეობა ზოგადსაგანმანათ-ლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესს არ შესაბამება: მას-წავლებლებს მორიგეობა უხდებათ პირველი ცვლის მეცადინეობის და-წყებიდან დამთავრებამდე, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ გაკ-ვეთილები, ანდა ისეთ დღეებშიც კი, როცა მათ გაკვეთილები საერ-თოდ არა აქვთ (თ ილისის 57-ე, 131-ე და სხვა სკოლები); ამასთან, მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი შედგენილია ნახევარი ან მთე-ლი წლისათვის და არა ერთი თვით, როგორც ეს შრომის შინაგანა-წესით არის გათვალისწინებული; უმრავლეს შემთხვევაში მორიგეობ-ის გრაფიკი პროფკავშირის ადგილკომთან არ არის შეთანხმებული;

ბავშვთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში არა-საკმაოდ არის გამოყენებული მოსწავლეთა ორგანიზაციების ინიციატი-ვა და თვითმმართველობა; ამ საქმეში სუსტად არის ჩაბმული მშო-ბელთა საზოგადოებრიობა, სკოლების საშეფო ორგანიზაციების კო-ლექტივები, სახლმმართველობათა აქტივისტები.

ხშირია შემთხვევა, როც კლასგარეშე მუშაობა მთლიანად და-კისრებული აქვთ მასწავლებლებს.

მასწავლებლებს, ხშირად, სავალდებულო წესით, მილიციის ბავ-შვთა ოთახებსა და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში (თეატ-რები, კინოთეატრები, კლუბები და სხვ.) ამორიგევებენ და ამით კი მათ ბევრი დრო ეკარგებათ.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი კლასის ხელმძღვანელებს ავა-

ლებს კლასთან იყვნენ მთელი სამეცადინო დროის განმავლობაში, ძა-
შინაც კი, როცა მათ გაკვეთილები არა აქვთ.

ადგილი აქვს სპორტულ თუ სხვა ღონისძიებათა ჩატარებას გა-
მო მოსწავლეებისა და მასწავლებლების მეცადინეობისაგან მოწყვეტას;
ასევე ხშირია მოსწავლეებისა და მასწავლებლების მეცადინეობიდან
მოწყვეტის შემთხვევები სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებში
მათი მონაწილეობის გამო.. ჯერ კიდევ ადგილი იქვს სკო-
ლების დირექტორების, მათი მოადგილეების, მასწავლებლებისა და
სხვა მუშაკების სამუშაო საათებში პირდაპირი მოვალეობის შესრუ-
ლებისაგან მოწყვეტის შემთხვევებს, მათი რაიონულ, საქალაქო ორ-
განოებში გამოძახების გამო.

ხშირია აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ სკოლების
მუშაობის შემოწმება, რად დიდ დროს ართმევს მასწავლებლებს, სკო-
ლების ხელმძღვანელებსა და სხვა მუშაკებს; ასე მაგალითად: თბილი-
სის 67-ე საშუალო სკოლა 1974—1975 სასწავლო წელს 12-ჯერ შე-
მოწმდა, ხოლო ა/წ სექტემბერსა და ოქტომპრის პირველ ნახევარში
5-ჯერ.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც კი, როცა მასწავლებლებს
ავალდებულებენ მოსახლეობაში ჩაატარონ აღწერა, მოსწავლეებში
გაავრცელონ გაზეთები, თეატრების, კინოთეატრების აბონემენტები
და ბილეთები. წიგნების ერთთვიურის დროს—წიგნების გაყიდვა. სამ-
ტრედიის რაიონის სოფ. ეწერის სასოფლო საბჭოს აღმასკომი მასწავ-
ლებლებს ავალდებულებს მოსახლეობაში სახელმწიფო გადასახადები
და დამზადების პროდუქტები აკრიფონ და სხვ.

შრომის კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, ზოგჯერ, მასწავ-
ლებლებს გამოსასვლელ და უქმე დღეებში ამუშავებენ მაშინ, რო-
ცა ამის დაშვება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ისიც
პროფკავშირის ადგილკომის თანხმობით და ადმინისტრაციის ბრძანე-
ბით (განკარგულებით), რაც კანონით უნდა გაფორმდეს და კომპენ-
სირებულ იქნეს დადგენილი წესით.

პროფკავშირის რაიონული, საქალაქო და ადგილობრივი კომიტე-
ტები სუსტ კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებენ მას-
წავლებელთა შრომის ორგანიზაციისა და მისი დროის ბიუჯეტის რა-
ციონალურად გამოყენების, სკოლებსა და განათლების განყოფილე-
ბებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, მომთხოვნელობისა და
პასუხისმგებლობის გრძნობის განმტკიცების საქმეში; ამ საკითხებს სის-
ტემატურად არ ამოწმებენ და კომიტეტების სხდომებზე არ იხილავენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაეკალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს, სკოლების დირექტორებსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო, რაიონულ, საქალაქო და ადგილობრივ კომიტეტებს, ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ იმ მიმართულებით, რომ სკოლებში უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განმტკიცება; მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა სამუშაო დროის რაციონალური, ყაირათიანი გამოყენება, მათი შრომის, ცხოვრებისა და დასვენების რეჟიმის თაობაზე კანონმდებლობათა დარღვევის შემთხვევების აღმოფხვრა.

სკოლებისა და მასწავლებლებისათვის მეთოდური დახმარებისა და საქმიანი ხელმძღვანელობის გაწევით გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მოაწესრიგონ მასწავლებლებისა და სხვა მუშაკების სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის აღრიცხვა;

რეგირების გარეშე არ დატოვონ სამუშაოზე დაგვიანებისა ან გამოუცხადებლობის არცერთი შემთხვევა. შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ გამოიყენონ შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი;

ბ) აღკვეთონ მასწავლებელთა მცირე რაოდენობის საათებზე დანიშვნა შესაბამისი განათლების სამინისტროს განყოფილების ნებართვის გარეშე;

არ დაუშვან სკოლებში შემთავსებელ მასწავლებელთა რიცხვის გაზრდა; ყველა აუცილებელ შემთხვევაში შემთავსებლობა დაშვებულ იქნეს მხოლოდ ორივე დაინტერესებული დაწესებულების ხელმძღვანელ და პროფკავშირის ადგილკომების ოფიციალური თანხმობით.

გ) უზრუნველყონ მასწავლებელთა შორის სასწავლო დატვირთვის სწორი განაწილება ამ საქმეში მოქმედი ინსტრუქციების მტკიცედ დაცვით;

ყველა სკოლაში მიაღწიონ მოწინავე პედაგოგიურ-მეცნიერული მეთოდების გამოყენებით გაკვეთილების ცხრილის რაციონალურად

შედგენას და, რაც შეიძლება, ე. წ. „ფანჯრების" რიცხვის მინიმუმამდე შემცირებას;

მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა სასწავლო პროცესის დაუზიანებლად მასწავლებლებს მისცენ კვირაში ერთი თავისუფალი დღე;

დ) უზრუნველყონ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ორგანიზაციაზე სწორი, კონკრეტული, საქმიანი ხელმძღვანელობა; მკაცრი კონტროლი დააწესონ სასწავლო დროის სწორად და მაქსიმალურად გამოყენებაზე: არ დაუშვან საგნის შესწავლისათვის დადგენილი საათების რაოდენობის თვითნებურად შეკვეცა და გაკვეთილების გაცდენა; უზრუნველყონ ყველა საგანში სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გახანგრძლივებულად შესრულება;

ე) აკრძალონ მასწავლებლების მეცადინეობისაგან მოწყვეტა. არ დაუშვან მასწავლებლების, დირექტორების, მათი მოადგილეებისა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების საქალაქო, სარაიონო თათბირებზე, შეკრებასა და სხვადასხვა ღონისძიებებზე ხშირი გამოძახება და ამით მათი პირდაპირი მოვალეობის შესრულებისაგან მოწყვეტა;

არ დაუშვან სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებზე გამოყენების, სამეურნეო შემოწმებების, მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადების, სპორტული შეკრებებისა და კლასგარეშე მუშაობის სხვა ღონისძიებათა ჩატარების საბაბით მოსწავლეთა და მასწავლებელთა მეცადინეობისაგან მოწყვეტა.

სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიონ პედაგოგიურ კოლექტივებში იმის თაობაზე, რომ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სხვადასხვა ღონისძიებანი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა აღზრდისა და განვითარებისათვის, როგორც წესი, სასწავლო დროის ხარჯზე არ უნდა ტარდებოდეს;

ვ) პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მასწავლებელთა შინასასკოლო მეთოდურ გაერთიანებათა მეცადინეობა, მშობელთა კრებები მოსწავლეთა ორგანიზაციების სხდომები და თათბირები, წრეების მეცადინეობა მოეწყოს მხოლოდ სკოლის მუშაკთა შინაგანაწესით და სხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციებით დადგენილი სიხშირითა და მუშაობის დროის ხანგრძლივობით.

სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა გეგმაზომიერი და მიზანშეწონილი მუშაობა წარმართონ მოსწავლეთა შორის თვითმმართველობის აღზრდისათვის; მიაღწიონ იმას, რომ კრებების, სხდომების

შეკრებებისა და სხვა ღონისძიებათა ორგანიზაციისა და ჩატარებაში მასწავლებელს მცირე დრო ეხარჯებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების ხელმძღვანელმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა მაქსიმალურ სწავლათა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში ჩაებან და გამოიყენონ მოსწავლეთა მშობლები, ფართო საზოგადოებრიობა, საშეფო ორგანიზაციების კოლექტივები და სახელმართველოებათა აქტივი:

ზ) მასწავლებელთა სკოლაში მორიგეობა მოაწყონ მხოლოდ შრომის შინაგანაწესით დადგენილი წესის დაცვით;

განემარტოთ, რომ ამ წესის დარღვევით მოწყობილი მორიგეობა განიხილება, როგორც შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევა, შრომის კანონმდებლობის უხეშ დარღვევად ჩაითვლება ზოგიერთი სკოლის დირექციის მოქმედება, როცა ის კლასების ხელმძღვანელებს ავალდებულებს თავიანთ კლასებთან იყვნენ მეცადინეობის დაწყებიდან მის დამთავრებამდე იმ დროს და დღეებშიც კი, როცა ამ მასწავლებლებს ცხრილით გაკვეთილები არა აქვთ;

ი) არ დაუშვან სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სკოლების ხშირი შემოწმება, რაც მასწავლებლებსა და სკოლების ხელმძღვანელებს მუშაობაში დიდ დროს ართმევს, პირდაპირი მოვალეობის შესრულების საშუალებას არ აძლევს.

ასევე არ დაუშვან მასწავლებლებისა და სკოლების ხელმძღვანელობისგან ისეთი ანგარიშგების, მოხსენებებისა და-ცნობების შედგენა, რაც ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დამტკიცებული ნომენკლატურით არ არის დადგენილი;

თ) კატეგორიულად აკრძალონ მასწავლებლების მიერ მოსწავლეებში გაზეთების გავრცელების, წიგნების გაყიდვის, თეატრების, კინოთეატრების ბილეთებისა და აბონემენტების გავრცელება-გასაღების გამო მოსწავლეებში ფულის შეგროვება;

ასევე არ დაუშვან მასწავლებლების მიერ მოსახლეობაში სახელმწიფო გადასახადებისა და დამზადების პროდუქტების აკრეფა;

კ) აკრძალონ საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში (თეატრები, კინოთეატრები, პარკები, ბაღები და სხვ.) მასწავლებელთა მორიგეობა.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებსა და პროფკავშირის კომიტეტებს სისტემატურად შეამოწმონ მასწავლებლების შრომის ორგანიზაციისა და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების მდგომარეობა და შედეგები გა-

ნიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და კომიტეტების სხდომებზე, კონკრეტული ღონისძიებანი გაატარონ ამ დადგენილების შესრულებისათვის.

3. დაევალოს სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკი) კადრების განყოფილებას (ამხ. ი. კვაჭაძე) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის შრომისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ე. ნაკაშიძე) ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა შეამოწმონ 1976 წლის აპრილში და შედეგი მოახსენონ კოლეგიასა და პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოთს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება №518—გლდანის № 1 და № 2 ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული პროფილის საშუალო სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი და სპორტული მუშაობის შემოწმების შესახებ 3

3. ბრძანება № 9—495 /442/ 603—სოფლის იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებების შესახებ, რომლებშიც უფროსკლასელთა ავტოსაქმისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის სწავლება ტარდება 38

4 ბრძანება № 788—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 26 ივნისის № 628 ბრძანების—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მიმდინარეობისა და 1974 წლის 4 ნოემბრის ბრძანების—სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ—შესრულების შემოწმების შედეგებზე ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთაველის, ზუგდიდის, ბორჯომის, ხაშურის, ვარდაბნის, გეგეჭკორის, თელავისა და ზუგდიდის რაიონებში 47

5. დადგენილება —მასწავლებლის შრომას ორგანიზაციისა და სამუშაო დღის რაციონალურად გამოყენების შესახებ 54

Ф.3-1/21

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ჭურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნუშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/II-76 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.

შეკ. № 1277 უე—03961 ტირაჟი 5.000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11.
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств,
полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР,
ул. Уш. Чхеидзе № 19